პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 28 მაისი № 122 (17765) ☐ ფასი 2 კაპ.

საკდესის ცნობა

ორბიტაზეა საერთაშორისო ეკიპაჟი

1980 წლის 26 მაისს მოსკოვის დროით 21 საათსა და 21 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-36“.

კოსმოსურ ხომალდს პილოტებს საერთაშორისო ეკიპაჟი: მეთაური ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი კუბასოვი და მკვლევარი კოსმონავტი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ბერტალან ფარკაში.

„სოიუზ-36“ ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შეპირაპირება „სალუტ-6“-„სოიუზ-36“ ორბიტულ კომპლექსთან და გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების წარმოება. კოსმონავტებთან 1980 წლის 9 აპრილიდან მუშაობენ.

საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენის დროს გაგრძელდება კოსმოსური სივრცის კვლევა, რომელსაც „ინტერკოსმოსის“ თანამშრომლობის პროგრამის მონაწილე სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ. ამ პროგრამის ფარგლებში შესრულდა ერთობლივი ტესტი ბულგარეთის სოციალისტური რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, ვენგრიის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობით.

საბჭოთა ხომალდით საერთაშორისო ეკიპაჟის ახალი კოსმოსური ფრენა, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქენი მონაწილეობენ, ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს სოციალისტური ინტეგრაციის შემდგომ გაფართოებას.

კოსმონავტები კუბასოვი და ფარკაში თავს კარგად გრძნობენ, „სოიუზ-36“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად ფუნქციონირებს. „სოიუზ-36“ ხომალდის ეკიპაჟი დაგეგმილი პროგრამით მუშაობს.

++

„სოიუზ-36“ ხომალდის მეთაურის განცხადება სტარტის წინ

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს „სოიუზ-36“ საბჭოთა ხომალდით კოსმოსში მიფრინავენ მოძმე ქვეყნების — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქენი. მე გამიწიეს დიდი ნდობა და დამდეს პატივი ვიყო ამ საერთაშორისო ეკიპაჟის მეთაური.

ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შემდგომი გამოკვლევები და ექსპერიმენტები, რომლებსაც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კოსმონავტები ასრულებენ „ინტერკოსმოსის“ პროგრამით „სალუტ-6“ — „სოიუზ“ საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითის კომპლექსში.

ჩვენი ფრენა კოსმოსში კვლავ დადასტურებს ჩვენი სახელმწიფოების, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ურღვევ მეგობრობას, ნაყოფიერ თანამშრომლობასა და ერთიანობას.

„სოიუზ-36“ ხომალდის ეკიპაჟის სახელით მოგახსენებთ: კოსმოსური ფრენისათვის მზად ვართ, ქოდნას არ დავიშურებთ პასუხისგები დავალების შესასრულებლად.

„სოიუზ-36“ ხომალდის მეთაური სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი კუბასოვი.



„სოიუზ-36“ ხომალდის მკვლევარი კოსმონავტის განცხადება სტარტის წინ

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

მე, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წევრს, წილად მხვდა დიდი პატივი—საერთაშორისო ეკიპაჟის შემადგენლობაში მონაწილეობა მივიღო კოსმოსურ ფრენაში „სოიუზ-36“ საბჭოთა ხომალდითა და „სალუტ-6“ სამეცნიერო სადგურით.

ვამაყობ, რომ ჩემი უნგრეთი ისევე როგორც სოციალისტური ფანამეგობრობის სხვა ქვეყნები, საბჭოთა კავშირთან ერთად მონაწილეობს კოსმოსური სივრცის კვლევაში, პილოტირებულ კვლევაში „ინტერკოსმოსის“ პროგრამით.

ჩემს ფრენას კოსმოსში ვუძღვნი ფაშისტური უღლისაგან გმირი საბჭოთა პრმიის მიერ სამშობლოს განთავისუფლების 35-ე წლისთავს — ისტორიულ მოვლენას, რომელმაც უნგრელ ხალხს ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზა გაუხსნა. ჩვენი ერთობლივი ფრენა ცხადყოფს უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის პარტიებისა და ხალხთა ძმური შეკავშირებას.

ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გადავუხადო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას დიდი ნდობისათვის.

მოგახსენებთ: „სოიუზ-36“ კოსმოსური ხომალდით ფრენისათვის მზად ვარ, ძალ-ღონისა და ცოდნას არ დავიშურებ, რათა ღირსეულად შეეასრულო საპატიო დავალება

„სოიუზ-36“ ხომალდის მკვლევარი, კოსმონავტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ბერტალან ფარკაში.

ვალერი ნიკოლოზის ძე კუბასოვი

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი ნიკოლოზის ძე კუბასოვი დაიბადა 1935 წლის 7 იანვარს ვლადიმირის ოლქის ქალაქ ვიაზნიკში.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც აპროექტებს კოსმოსური აპარატების სისტემებს. ვალერი ნიკოლოზის ძე ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია.

1966 წელს იგი ჩაირიცხა კოსმონავტთა რაზმში.

ვ. ნ. კუბასოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1968 წლიდან.

თავისი პირველი კოსმოსური ფრენა ვალერი ნიკოლოზის ძემ მოახდინა 1969 წლის ოქტომბერში „სოიუზ-6“ ხომალდით. 1975 წლის ივლისში „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით მონაწილეობდა კოსმოსურ ფრენაში „სოიუზ-19“ ხომალდის ბორტ-ინჟინრად.

კაპიტანი ბერტალან ფარკაში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ბერტალან ფარკაში დაიბადა 1949 წლის 2 აგვისტოს სოფელ დიულაპაზში. 1967 წელს მან დამთავრა საშუალო სკოლა და შევიდა კალიანის სახელობის საავიაციო-ტექნიკურ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ თავდაცვის ჯარების ავიაგამანადგურებელ ავიაციაში. აქვს პირველი კლასის სამხედრო მფრინავის კვალიფიკაცია.

ბერტალან ფარკაში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წევრია 1976 წლიდან. 1978 წლის მარტში ბერტალან ფარკაშმა დაიწყო მზადება პილოტირებული ფრენისათვის ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში. მან განვლო „სოიუზ“ კოსმოსური ხომალდით და „სალუტ“ ორბიტული სადგურით წვრთნის სრული კურსი „ინტერკოსმოსის“ პროგრამით.

ვიზიტად მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 27 მაისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი ნასეი მუჰამედი.

აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე დახვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მუშათა კლასს — ღირსეული შეგებება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1980-81 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა მოზაზადების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და მისი სისტემის სასწავლებლებმა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების, საბაზო საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და რესპუბლიკის განათლების ადგილობრივი ორგანოების აქტიური დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს 1979-80 სასწავლო წლისათვის საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა წარმატებით მომზადების საქმეში.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. წარმატებით შესრულდა სასწავლებელთა ქსელის გაფართოების სახელმწიფო დავალება. 1979 წელს აშენდა 11 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებელი 2.340 მოსწავლისათვის.

გადაჭარბებით შესრულდა მოსწავლეთა მიღებისა და ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშათა მომზადების გეგმა.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1979-80 სასწავლო წლისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მომზადებასა და მოსწავლეთა ახალი კონტინგენტით მათ დაკომპლექტებაში იყო ნაკლოვანებანი და ხარვეზები. მაგალითად, საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი ცხინვალის რაიონის სოფელ ტბეთში (შემკვეთი — საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გენერალური მოიჯარადრე—რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 სამშენებლო ტრესტი).

ბევრმა სამინისტრომ და უწყებამ, საწარმოო გაერთიანებამ და ქარხანამ, მთელმა რიგმა რაიონებმა ვერ შეასრულეს დადგენილება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის გაგზავნის მხრივ.

ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის სასწავლებლების ადგილობრივი ახალგაზრდებით დაკომპლექტების საკითხი. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მოქმედება შეწყვიტეს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საუწყებო-სარისო კომისიებმა.

ბევრი საბაზო სამინისტრო, უწყება და საწარმო სათანადო ყურადღებას არ უთმობს სასწავლებლების ქსელის გაფართოებას, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციას, დამრიგებლობას, სასწავლებელთა კურსდამთავრებულების გამოყენებასა და დამკვიდრებას.

წლითიწლობით არ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები.

დადგენილება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საბაზო სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ავალებს შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დროულად მომზადონ ახალი 1980-81 სასწავლო წლისათვის.

მიღებულია საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ 1980 წელს შეიქმნას საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები: ქალაქ თბილისში —

(დასასრული მე-2 გვ.).

სათავე ყოველი სიკეთისა!

ციმლერა შრომასთან ერთად იშვა, შრომაში დაიბადა!.. სიმღერა მხარში ამოუდგა მაშვრალს და საქმიანობა, ე. ი. სვრელის გატანა გაუიოლა!

ეს ცნობილი ამბავია, და ვინ დაგვიშლის კიდევ ერთხელ ვთქვათ ქება ხალხური ციკვა-სიმღერისა, კაფიაობა-გაშაირებისა, ხალხური სანახობა-დღესასწაულისა, მამა-პაპათაგან ბოძებული ხალხური პოეტური საუნჯისა.

დაშლით მართლაც ვერავინ დაგვიშლის, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ მემკვიდრეობას მოვლა უნდა!

ერთი ცოცხალი, „ორასწლიანი“ პატრონი, რომელმაც ყანა-მინდორში არ მიატოვა სიმღერა, ახალგაზრდობას ასწავლის და ამით მომავალს გადასცემს, ვლადიმერ ერქომაიშვილია, მომღერალთა მოდგმის მერვე თაობა; ახლახან მისი 85-ე წლისთავიც ვიზეიმეთ.

ასეთი კაცი, მართლაც რომ, ხიდია!

მახარაძის რაიონში „სიმღერის ძალა და უნარი რომ არ დაცოდნენ, მარტოკაცი ამხელა საქმეს ვერ შეეგდებოდა.

საბედნიეროდ, მახარაძელები კენტად არ არიან. წლების მანძილზე გამართული ოლიმპიადების, თანამედროვე სახალხო დღესასწაულების და ბოლო ხანებში ფილარმონიის თაოსნობით გამართული ხალხური პოეზიისა და მუსიკის საღამოების წყალობით გავიცანით არაერთი კოლექტივი, რომელმაც ბევრი ძველი მუსიკალური ქმნილება თუ ციკვა აღადგინა, სათუთად შემოინახა ეროვნული კულტურის ბევრი ნიმუში და ამასთან ერთად შექმნა, აითვისა ახალი, თანამედროვე ნაწარმოებები.

ამ დიდი საერო საქმიანობის კერებია ძირეული კულტურული დაწესებულებები — საქალაქო, რაიონული და სასოფლო კულტურის სახლები, კლუბები, მათ მუშაობას წარმართავენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და რესპუბლიკის პროფკავშირები, რომელთაც მხარში უდგანან შემოქმედებითი კავშირები, რადიო და ტელევიზია.

ბოლო ხანებში საქართველოს პროფსაბჭომ და კულტურის სამინისტრომ საგრძნობლად გაამახვილეს ყურადღება მთელ რესპუბლიკაში იდეოლოგიურ-პოლიტიკური მუშაობის სფეროს გაზრდასა და მშრომელთა ფართო მასების მხატვრულ-კულტურულ მომსახურებაზე. მოქმედების სფეროს გაფართოების მიზნით განმტკიცდა კონტაქტები რესპუბლიკის კუთხეებთან, მშრომელთა სხვადასხვა ფენასთან, შრომითს კოლექტივებთან. სასაკეთო ნაყოფი გამოიღო მუშაობაში ახლად დანერგლმა დიდი რეგიონების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის კომპლექსური შესწავლის მეთოდმა და ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობასთან ერთად გადამწყვეტი საკითხების განხილვამ გამსვლელ კოლეგიებსა და ერთობლივ სხდომებზე. ასეთნაირად შეისწავლეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში მხატვრული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, და დაისახა კიდეც ღონისძიებები მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ეს მოხდა შარშან, მაგრამ წელსაც ბევრია გასაკეთებელი. საყურადღებოა რედაქციაში გასული წლის დამლევს შემოსული წერილი; ამ წერილით დაკვირვებული, საქმის მოყვარული პიროვნება გვესაუბრება, მისი სურვილია გაზეთის ფურცლებზე ინფორმაციულ ცნობას. გასცალდეს ხოლმე საკლუბო მუშაობის სასიკეთო მაგალითები, გამოიკვეთოს დადებითი, ქმედითი მხარეები, არ იყოს ერთფეროვანი ფაქტები.

საკლუბო მუშაობას თავისი ტრადიციები აქვს, მაგრამ სიახლეც საჭიროა. ასეთი შემოქმედებითი სიახლის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შუხვედრა-კონცერტები, რომლებიც გაიმართა ქალაქ ტყიბულის ზონის დიდ სოფლებში — ორპირში, გურნაში, ხრესილში, კურსებში, გელათსა და სოჩხეთში, სადაც გამოვლინდნენ მომღერალთა გუნდები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, აგიტმხატვრული ბრიგადები. ასეთი თაოსნობისათვის ბევრი მათგანი კულტურის საქალაქო განყოფილებამ დიპლომითაც დაჯილდოვა.

კულტსაგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი უბანია ბიბლიოთეკა. აქ მეთაური ადგილი უჭირავთ თბილისის მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას (დირექტორი — ალ. კვეკვასიძე), თბილისის ახალგაზრდობის რესპუბლიკურ (დირექტორი — ნ. რატიანი) და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკებს (დირექტორი — ლ. ნუცუბიძე). მაგრამ არის თუ არა ყველა რაიონულ მახობრივ ბიბლიოთეკაში საქმე ისეთნაირად აწყობილი, როგორც ეს ჩვენი საუკუნის ოთხმოცდაანი წლების დამდეგს შეეფერება? ჩანს, არა, თუკი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით წლის დამდეგს სანიმუშოდ ორად ორი მაგალითის — ქობულეთისა (დირექტორი — შ. ვერულიძე) და მაიაკოვსკის (დირექტორი — ნ. ფურცელაძე) დასახელება შეიძლებოდა (მარტო კულტურის სამინისტროს ხაზით 4.000-მდე ბიბლიოთეკაა)!

ახლახანს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დათვალიერებაში თავი გამოიჩინეს გალის სბაავშვო, ახმეტის ცენტრალურმა, გურჯაანის, საჩხერის, ბოლნისის ბიბლიოთეკებმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობის გადახალისების მიზნით კარგა ხანია მოხდა საგანგებო დადგენილებით გათვალისწინებული ცენტრალიზაცია. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა რაიონული ბიბლიოთეკებისა და დიდ დასახლებულ პუნქტებში მათი ფილიალების გადაყვანა უწყვეტ სამუშაო კვირაზე, რამაც გააუმჯობესა მოსახლეობის წიგნით მომსახურება, მაგრამ საგანგაშოა ის, რომ ორასამდე სოფელი უბიბლიოთეკოდ არის!

თუ სიბიბლიოთეკო საქმიანობის გარდაქმნაში დადებითი როლი შეასრულა ცენტრალიზაციის პროგრესულმა მეთოდმა, საინტერესოა, რამდენად ეფექტიანი იქნება კულტურის სამინისტროს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს მსგავსი ექსპერიმენტი რესპუბლიკის სასოფლო საკლუბო დაწესებულების მიმართ. ეს ღონისძიება ამჟამად ქ. წყალტუბოსა და მის ზონაში, მახარაძისა და გურჯაანის რაიონებში მიმდინარეობს.

ერთი წერილი, ცხადია, ვერ მოიცავს კულტსაგანმანათლებლო მუშაობის ყველა ობიექტს — ეს გახლავთ მუზეუმები (რომლებიც თავიანთი იერით, მით უმეტეს საბჭოთა პერიოდის ექსპოზიციით, ტყუპებივით არ უნდა ჩამოჰგავდნენ ერთმანეთს), ეს გახლავთ კულტურის სახალხო უნივერსიტეტები, რომელთა რიცხვმა 74-ს მიაღწია (აქ 10 ათასზე მეტი მსმენელია გაერთიანებული), 50-მდე სახალხო თეატრი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შეემატა საგამოფენო დარბაზები, ერთიმეორეზე უკეთესი მონუმენტური კომპლექსები (ქუთაისი, გორი, თელავი, გურჯაანი, ფოთი, ცხაკაია), რაც მოსახლეობის სულიერი კულტურის, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების დახვეწაში დიდ როლს შეასრულებს.

მიუხედავად განუზომელი ზრუნვისა, სოფელი, მუშახელი, მიწათმოქმედი ხალხი გვრჩება გულდაწყვეტილი. სტატისტიკას თუ მივმართავთ, ბოლო ორი წლის მანძილზე მარტო სოფლად 70-მდე კულტურის სახლი და კლუბი აშენდა, მაგრამ „არაშენდა“ კლუბები და მუზეუმებიც ხომ გვაქვს, მათაც პატრონობა უნდა! თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში რატომღაც ფერხდება დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია — სინამდვილეში ეს მუზეუმი (რომელიც ახლა დაშლილია) სოფლის კულტურული მუშაობის კერა იყო — იმართებოდა დ. კლდიაშვილის თეატრის დღეები, მწერლის ნაწარმოებთა ეკრანიზაციის კინოპრემიერები და ა. შ.

ხუმრობა როდია, 205 ბიბლიოთეკა რომ კეთილმოწყობილ ბინაში შევა (დამთავრდა მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის მშენებლობაც), შენდება 133 საკლუბო დაწესებულებანი მით უფრო, უწინდელზე მეტი მოეთხოვებათ ხოხუმის რესპუბლიკურ და ცხინვალის საოლქო ბიბლიოთეკებს, ხელვაჩაურის, საგარეჯოს, საჩხერისა და ახალქალაქის რაიონულ კულტურის სახლებს. თიანეთის რაიონის სოფელ ბოჭორმაში დაარსებული საზოგადოებრივ ცენტრს, რომლებიც ახალმოსახლეებად ითვლებიან.

ახლახან მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში აშენდა სწორედ ისეთი სასახლე, სადღესასწაულო კულტურულ დონეს რომ მიესადაგება — 600-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზით, კინო და თეატრალური სტუდიის სამეცადინო ოთახებით. წლის ბოლომდე 17 ასეთ მკვიდრ, ლამაზ, კეთილმოწყობილ სახასლეს გვპირდებიან.

ეს დიდი შენაძენი იქნება, მათ სათანადოდაც უნდა გამოყენება და დაკომპლექტება. ამ ძირეულ კლუბებსა და სასახლეებში ხდება ჩვენი უმაწვილებისა და ახალგაზრდების დახელოვნება, მხატვრული თვითმოქმედების გაშლა, დახვეწა და ზოგჯერ პროფესიულ რანგში აღზევებაც. აქ ჩანს ხოლმე სოფლის კულტურული მომსახურების, მშრომელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დახვენების დონე, სურათი.

დედაქალაქზე ერთი სიტყვაც არ გვითქვამს.— რა გეთქმით, ყველა სიკეთეს თავი თქვენთან მოუყრიაო, — გვისაყვედურებენ ალბათ ახლა, დედაქალაქიდან მოშორებით რომ ცხოვრობენ. მართალნიც იქნებიან, მაგრამ, თურმე, აქაც მოგვიკლია გულისყური. თურმე შუა ქალაქშიც არის კულტურის ისეთი დაწესებულებები, რომელთაც მეურვეობა ესაჭიროებათ — ეს 1 მაისის რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხებათ, თუმცა არც ის არის დასამალი, რომ კულტსაგანმანათლებლო ქსელის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიუხედავად ადგილებზე, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა — ბევრი სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის შენრბა საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას, მოუწყობელია, ზამთრობით არ თბება, ამ მიზნით გამოყოფილი თანხები კი წლიდან წლამდე აუთვისებელი რჩება!

...ხალხმა შემოგვინახა უმდიდრესი პოეტური თუ მუსიკალური ფოლკლორი, შრომის ფერხულში იბადება ახალი სიმღერა, ლექსი, ცეკვა — გამომხატველი ჩვენი საუკუნის ადამიანის სულიერი განცდისა და მას საკადრისი საასპარეზოც ჭირდება.

ხალხის წიაღშია სათავე ყოველი სიკეთისა და ამ სიკეთის მიკვლევა-გამომზეურება ჩვენი სახელმწიფოებრივი, მოქალაქეობრივი მამულიშვილური ვალია.

ქვეყნის ყველა ფერი

ჩვენებური მაისის ფერთა სიუხვეს ტოლს არ უდებს თავისი მრავალფეროვნებით ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საუკეთესო ოსტატების პალიტრა. იმათ, ვინც გუშინ იყო საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში, სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენაზე, არა მარტო თვალწინ წარმოუდგათ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველაზე დაშორებული კუთხეები, არამედ შეეგრძნეს კიდეც მისი მაჯისცემა, კომუნისტური აღმშენებლობის დაძაბული რიტმი. 26 მაისს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

საღამოზე იყვნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი.

— მესამე დღეა, — თქვა საღამოს გახსნისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ, — საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარეობს ნათელი და სასიხარულო დღესასწაული. მესამე დღეა საბჭოთა მხატვრების დიდი და სახელოვანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები ხვდებიან საბჭოთა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მშრომელებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ეცნობიან მათ ცხოვრებას, შრომითსა და შემოქმედებითს მიღწევებს. მესამე დღეა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ეცნობა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებსა და მათ შემქმნელებს.

ადამიანზე სახვითი ხელოვნების გავლენა მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რომ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, მათი კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად, იგი სულ უფრო მეტად ესწრაფვის მშვენიერებას, ცდილობს თავისი ყოფა სილამაზის

(დასასრული მე-4 გვ.).

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

27 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბარციკოვსკი. დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის მრეწველობის ნაწარმის გამოფენის გახსნაზე.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო მეურნეობის მინისტრის მოადგილე თ. ნესტოროვიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და ფინანსთა განყოფილების გამგის მოადგილე მ. ხოლდაკოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს სავაჭრო მრჩეველი, სრულუფლებიანი მინისტრი ვ. გურსკი, პოლონეთის საგარეო-სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩიშევსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თანამშრომელი ს. როგოვსკი.

ამხ. პატარიძე სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და სახალხო განათლების განვითარების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო სიამოვნებით შეიძენს საქვეყნოდ ცნობილი პოლონური მრეწველობის ნაწარმს.

ამხ. ბარციკოვსკიმ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გამოფენის მოწყობაში დახმარებისათვის.

შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ივანოვი, სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. პიტოვრანოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ო. ჩერქეზია და დ. ქართველიშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი, რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ოყროშიძე.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასს — ღირსეული შევსება

(დასასრული)

ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში — საქართველოს დამზადების სამინისტროს ბაზაზე, გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანში — რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე, ქალაქ ცხაკაიაში — რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე, ცხინვალის რაიონის სოფელ ტბეთში — საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე.

ახალი ტექნიკური სასწავლებლები იხსნება ქალაქებში ქუთაისსა და რუსთავში — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე, ქალაქ ზესტაფონში — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელისა“ და შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის“ ბაზაზე.

დადგენილება საბაზო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ავალებს მუდმივი დახმარება გაუწიონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცებაში. უსასყიდლოდ გადასცენ მათ თანამედროვე ჩარხები და მოწყობილობა, მანქანები და მექანიზმები, თვალსაჩინოებანი, საწარმო პრაქტიკის მყოფი მოსწავლენი უზრუნველყონ ხელფასიანი სამუშაო ადგილებით, მიამაგრონ მათ დამრიგებლად მოწინავე კადრის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

დადგენილება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ავალებს სისტემატურად ამაღლოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე მოსწავლეთა შორის. მუდმივი ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდა მუშათა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებასა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, რესპუბლიკის საბაზო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უფრო ფართოდ გაშალოს მოსწავლე ახალგაზრდობასა და მოსახლეობაში პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობა, მოაწყოს შეხვედრები. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღზრდილებთან, წარმოების მოწინავეებთან, ვეტერანებთან და სოციალისტური შრომის გმირებთან, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებთან, რომლებიც შეფობას უწევენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს.

დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საქართველოს გაზარდოს განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის ყველაზე მომზადებული ნაწილის ხარჯზე პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა საგებმო კონტინგენტის დროული გაგზავნის საქმეში.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოე ვრუზისა“ და „სახალხო განათლების“ რედაქციებს რჩევა მიეცათ სისტემატურად მოაწყონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღებასადმი მიძღვნილი რადიო და ტელეგადაცემები, გააშუქონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების, ყოფისა და დასვენების ორგანიზაციის და სხვა საკითხები.

● ●

რა კეთდება მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადების სრულყოფისათვის? სად არის დღეს ყველაზე უფრო საჭირო მუშათა კადრები? საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვებზე უპასუხებენ:

ს. რიგვავა,
საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა მუშების სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის პარტიისა და მთავრობის გამუდმებული ყურადღებისა და ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

რესპუბლიკის საწარმოებში და მშენებლობებზე ყოველწლიურად მოდის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ათასობით კურსდამთავრებული, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ და ამრავლებენ მუშათა კლასის სახელოვან ტრადიციებს. მარტო მეათე ხუთწლეულის ოთხ წელიწადში საქართველოს სასწავლებლები დაახლოებით 120 ათასმა კაცმა დაამთავრა.

წელს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის, საქართველოს სასწავლებლების კაპიტალური მშენებლობისა და აღჭურვისათვის გათვალისწინებული ხარჯების გარდა სახელმწიფომ გამოყო 41,5 მილიონი მანეთი.

ამჟამად რესპუბლიკაში 136 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია, რომლებშიც 214 სპეციალობას იუფლება 60 ათასამდე [illegible] და ქალიშვილი.

მ სპეციალობათაგან ბევრის [illegible]ობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ გამოიწვია. ახალ სასწავლო წელს სასწავლებლებში 38 ათასზე მეტ მოსწავლეს მიიღებენ. სპეციალობათა რიცხვი 32-ით გადიდდება. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები პირველად მოამზადებენ ტექნოლოგიური მოწყობილობების გამმართველებს, ფერმონაერთების ოპერატორებს, ელექტრონული ტექნიკის კონტროლიორებს, მატარებლების შემდგენლებს, მგზავრებს, საგზაო-სამშენებლო მანქანებისა და ტრაქტორების შემკეთებელ ზეინკლებს...

მაგრამ საქმე მარტო მოსწავლეებისა და პროფესიების მზარდი რაოდენობა როდია. თანამედროვე წარმოების მუშათა შრომაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს რთული მექანიზმების მართვის, აწყობისა და რეგულირების, ანალიზური საანგარიშო და საკონტროლო ამოცანათა შესრულების ფუნქციები. სწორედ ასეთი მაღალი კვალიფიკაციის მუშები იქნებიან ისინი, ვინც ჩვენთან ამ ზაფხულს მოვა, რადგანაც ახლა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მარტო საშოალო განათლებას მჭირნე მუშებს ამზადებენ. საშუალო პროფესიული სასწავლებლები პროფესიულ მომზადებასთან ერთად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებასაც აძლევენ მოსწავლეებს.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების პრესტიჟის ასამაღლებლად.

შემუშავდა და ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესების, სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პერსპექტიული ღონისძიებანი. შექმნილია სხვადასხვა საბჭო: სამეცნიერო-პედაგოგიური, მშობელთა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისადმი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შეფობის კოორდინაციის საბაზო სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა საბჭოები და ა. შ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ სასწავლებლების კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების აქტიური გადაწყვეტის საქმეში ჩაებათ მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებით დაინტერესებული ორგანიზაციები.

ლ. ისაკაძე,
საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ჩვენი რესპუბლიკის ათობით საწარმო, მშენებლობა, მეურნეობა მზად არის შრომითი შეესების მისაღებად. საჭიროა უაღრესად სხვადასხვა სპეციალობათა მუშები — ათიათასობით კვალიფიციური ზეინკალი და მეტალურგი, ჯალატოზი და მებათქაშე, მძღოლი და გამყიდველი, სხვა პროფესიების მუშაკები. და ეს გასაკვირი არ არის. საქართველოს სახალხო მეურნეობა დაჩქარებული ტემპით ვითარდება. მარტო მეათე ხუთწლეულში ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაფართოვდა ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტრონული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო უზარმაზარი სამშენებლო მოედანია. მიმდინარე წლის ასამუშავებელი ობიექტების რუკაზე ვხედავთ საცხოვრებელ მასივებსაც, საინჟინრო ნაგებობებსაც. მუშახელი ყველაზე მეტად მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, ამიერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტს, ბევრ სხვა სამშენებლო ორგანიზაციას სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობა წლითიწლობით სულ უფრო სწრაფად გადადის ინდუსტრიულ რელსებზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა იმ პროფესიების მუშები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლახანს საქარხნო პროფესიად ითვლებოდა: ოპერატორები, ელექტრო-გაზშემდუღებლები და სხვ.

იზრდება რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალი, ეს კი ნიშნავს, რომ უდიდესი ქარხნები ახალ მუშაკებს მოელიან. აი მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: მუშის ათას ადგილს სთავაზობენ ახალგაზრდებს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო, მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები, ჭიათურის სამთამადნო კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი გაერთიანება. თითოეული მათგანი შზად არის მიიღოს სამასი ახალი მუშა. ორას მომავალ ავტომშენებელს მოელის ჭუთაისის საავტომობილო ქარხანა.

მიმდინარე წლის დამლევს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საამქროები თბილისში — სარძიო კომბინატში, ელმავალსაშენებელ ქარხანაში, ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკაში, პურის ქარხანაში, ფოთში — ხორცისა და რძის კომბინატში, ლაგოდეხში — საწარმოო გაერთიანება „საქვიანომანქანის“ ფილიალში, წალკაში — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი გაერთიანების ფილიალში. ეს კი კიდევ ათასი სამუშაო ადგილია.

განუწყვეტლივ იცვლება შრომითი რესურსების განაწილებისა და დასაქმების სტრუქტურა. თუ ჯერ კიდევ ახლო წარსულში მუშახელის მწვავე დეფიციტი იგრძნობოდა მრეწველობის მხრივ განვითარებულ რეგიონებში, ხოლო მთიან მხარეებში შრომისუნარიანი მოსახლეობის სიჭარბე იგრძნობოდა, ახლა მდგომარეობა ძირეულად იცვლება. ახალი საწარმოები იქმნება ოდესაც ძნელად მისადგომ მესტიის, ყაზბეგის, ბევრ სხვა მთის რაიონში, სამრეწველო საფუძველზე გადადის მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა შრომა, და ამ ადგილებში პირველად იგრძნობა მუშახელის ნაკლებობა.

ზ. ჩივაძე,
საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი.

ჩვენ საწარმოს, ახლა ალბათ, განსაკუთრებით სჭირდება მუშათა შევსება. დასასრულს უახლოვდება ქარხნის რეკონსტრუქცია, შენდება ახალი კორპუსები. ფართოვდება წარმოება. მარტო მიმდინარე წლის განმავლობაში ზად ვართ მივიღოთ ათას ორასზე მეტი კაცი. და თუ პროფტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულებმა არა, ვინ უნდა შეავსოს ელმავალმშენებელთა რიგები.

იმ სპეციალობათა მუშებს, რომლებიც ყველაზე გავრცელებულია ჩვენს ქარხანაში, რესპუბლიკის დედაქალაქს 15 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ამზადებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ახალი სასწავლო წლისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შესახებ ჩვენი გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ სამართლიანად გაკრიტიკეს იმისათვის, რომ შარშან პროფტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის არასაკმარისი კონტინგენტი გავგზავნეთ. ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ — კონკრეტული ღონისძიებანი განვახორციელეთ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. გავაუმჯობესეთ ქარხნის ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობა, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩავაბეთ ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია. სწორედ საწარმოს კომკავშირელთა იერიტიციით მიმდინარე წლიდან შეიქმნა პედაგოგიური რაზმი „სიჭაბუკი“, იოცზე მეტი ახალგაზრდა მუშა გახდა პაიონერხელმძღვანელი საშეფო № 14 სკოლაში.

ჩვენთან პროფტექნიკური სასწავლებლებიდან მოსული ახალგაზრდა მუშებს იღებენ და შრომით კოლექტივში ამკვიდრებენ მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები: ა. მეტრეველისა — ელექტროშტამპელერების წარმოების საამქროში, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის მ. გონგაძისა — საამპარატო საამქროში, ზ. ლომიტაშვილისა — ავტომატიზაციისა და შექანიზაციის საამქროში.

№ 26 ტექნიკურ სასწავლებელთან გაერთიანების ინიციატივით შეიქმნა მუშათა სპეციალობების დამატებითი, საღამოს სწავლება, ხოლო საწარმოს რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნება სასწავლო-საწარმოო კომბინატი.

ასე რომ, ახლა ყველაფერს ვაკეთებთ, რათა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების დიპლომის მქონე ახალგაზდა მაშინვე ჩაებას კოლექტივის შრომითს ფერხულში, აქტიურად აუბას მხარი საწარმოს მუშაობის დაძაბულ რიტმს.

ი. პორფიროვი,
წალკის რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

წლეულს წალკის რაიონის სკოლებში ახმიანებული უკანასკნელი ზარი განსაკუთრებით სასიხარულო იყო როგორც ათასზე მეტი კურსდამთავრებულისათვის, ისე მათი მშობლებისათვის. საქმე ის არის, რომ პირველად დიდი ხნის მანძილზე უკლებლივ ყველა სკოლადამთავრებული წალკელი დაუყოვნებლივ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაოთი ან გაიგზავნება სასწავლებლად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. თანაც პროფტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ისინი სპეციალობის მიხედვით იმუშავებენ მშობლიურ რაიონში.

რაიონი მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა შრომითი რესურსების მნიშვნელოვან სიჭარბეს, სამუშაო ადგილების ნაკლებობას. ძნელი იყო სამუშაოს მოძებნა რაიონში, სადაც პრაქტიკულად არ არსებობდა მრეწველობა, ნელი ტემპით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, არ იყო არც ერთი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ათასობით ადამიანი მიეშგზავრებოდა საშოვარზე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ახლა ვითარება ძირეულად შეიცვალა. წალკის რაიონი ვეებერთელა სამშენებლო მოედნად გადაიქცა. შენდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, ყველაზე თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი მეცხოველეობის კომპლექსები. ყოველივე ამას, ცხადია, სჭირდება არა მარტო დიდძალი მუშახელი, არამედ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებიც.

ახლახან რაიონში კიდევ ერთი, სათვალავით მეორე, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი გაიხსნა, სადაც მუშის პროფესიებს ეუფლება ასობით ქალიშვილი და ჭაბუკი. თუ წინათ იძულებული ვიყავით მომავალი მუშების ძირითადი კონტინგენტი სასწავლებლად თბილისისა და რუსთავის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში გაგვეგზავნა, ახლა მათი ორი მეოთხედი მშობლიურ ადგილებში ისწავლის. სტუდენტ მოიტანა და, უშუალოდ ადგილობრივად ახალგაზრდობის სწავლების საქმეროება პირდაპირ არის აღნიშნული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „1980-81 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა მომზადების შესახებ“.

წელს რაიონის სკოლების ხუთასზე მეტი კურსდამთავრებული დაეუფლება პროფესიულ ოსტატობას რაიონის პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც ოცამდე სპეციალობის მუშებს ამზადებენ. (საქინფორმი).

28 მაისი მესაზღვრის დღეა

ჩვენი საზღვრების ბურჯი

ყოველწლიურად, 28 მაისს საბჭოთა ადამიანები, საზღვრის მეომრები აღნიშნავენ მესაზღვრის დღეს.

წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებულია, იგი პირველად აღინიშნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულების მიღების შემდეგ, რომლითაც დაწესებულია ყოველწლიური დღესასწაული „მესაზღვრის დღე“ და ამ დღეს ვზეიმობთ 28 მაისს — ვ. ი. ლენინის მიერ „სასაზღვრო დაცვის დაწესების შესახებ“ დეკრეტის ხელმოწერის დღეს.

ეს დღესასწაული აღინიშნება საბჭოთა ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დამცველური მუშაობი წარმატებით შეასრულოს პარტიის წინასწარდასახულობანი, ხუთწლედის გეგმები.

სასაზღვრო ჯარების მთელი სახელოვანი საბრძოლო გზა, მათი ჩამოყალიბების, საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრის დაცვის განვითარებისა და სრულყოფის ისტორია ადასტურებს: ყველაფერი, რამაც სახელი გუთქვა სასაზღვრო ჯარებს, ყველა მათი წარმატება ლენინური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია.

ისტორიის ყველა ეტაპზე პარტია განსაზღვრავდა და განსაზღვრავს სასაზღვრო ჯარების ძირითად ამოცანებს, მათი მშენებლობისა და განვითარების მთავარ მიმართულებებს მსოფლიოში და საზღვარზე შექმნილი კონკრეტული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. ამის წყალობით სასაზღვრო ჯარები წლითიწლობით აღწევენ თვისებრივად ახალ საფეხურს, მაღალ საბრძოლო მზადყოფნას, საიმედოდ იცავენ ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო საზღვარს.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის საბრძოლო მატიანე დაიწყო ოციან წლებში, როცა XI წითელი არმიის შემადგენლობიდან გამოყოფილმა საუკეთესო ბატალიონებმა დასაცავად ჩაიბარეს საბჭოთა სამშობლოს სამხრეთი საზღვრები.

ამიერკავკასიელმა მესაზღვრეებმა, რომლებმაც XI წითელი არმიის მებრძოლებისაგან მემკვიდრეობად მიიღეს რევოლუციის იდეალები, საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციების უსაზღვრო ერთგულება, ბევრი გმირობა ჩაიდინეს, საყოველთაო-სახალხო სიყვარული მოიხვეჭეს და მშრომელთა მხარდაჭერა მოიპოვეს.

1926 წლის მარტის დილას უკვდავებაში გადადგა ფეხი მესაზღვრე ანდრია ბაბუშკინმა, რომელმაც თავის მეწყვილე გიორგი შამაევთან ერთად გზა გადაუღობა ბანდას, გლეხის პირუტყვის ჯოგის საზღვრის იქით გადალაღვას რომ ლამობდა.

მისი სახელი ეწოდა საბჭოთა კავშირში პირველ სასაზღვრო საგუშაგოს. ახლა ბევრი ასეთი საგუშაგოა. რამდენიმე სახელობითი საგუშაგო ამიერკავკასიის საზღვარზეა. ერთ-ერთი მთგანი კი ბათუმის წითელდროშოვან რაზმში ბულგარელი გმირი. მესაზღვრის ასენ ილიევის სახელობისაა, რომელიც გმირულად დაიღუპა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე დივერსანტებთან უთანასწორო შეტაკების დროს.

ჩვენი ოლქის აღზრდილებს პეტრე გუჟვინს, ნიკიტა კაიმანოვს, ივანე ბოგატირს, ივანე ლედნოვს, ივანე გოლუბეცს, გრიგოლ კურუპიატნიკოვს, დემოკრატ ლეონოვს, პეტრე ტარანს, ლუკა დუდკოს, ნიკიტა კარაცუპას მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის სიპატიო წოდება.

ლენინის საიუბილეო წელს ოლქის პირადმა შემადგენლობამ დადგა რა 110-დღიან ლენინურ ვახტზე, პარტიის მოწოდებისა— „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად“ — . პასუხად ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება დევეზით „წმინდად შეგასრულოთ ლენინის ანდერძი, ყოველნაირად ავამაღლოთ პოლიტიკური სიფხიზლე, საიმედოდ დავიცვათ სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრები“ და მიაღწია გარკვეულ წარმატებებს სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

ოლქის ჯარების მთელი რიგი ნაწილები და ქვეგანაყოფები, მოწინავე მეომართა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა საპატიო ლენინური სიგელით.

სამშობლოს ეს საპატიო ჯილდო მკაფიოდ მოწმობს სკკ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის მუდმივ ზრუნვას სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის განმტკიცებისათვის, მესაზღვრე მეომრებისათვის. ადასტურებს, რომ ისინი დიდად ენდობიან ჯარების პირად შემადგენლობას და აფასებენ მათს მხედრულ შრომას.

ცნობილია, რომ სასაზღვრო ჯარების ძალა ხალხის უდიდესი მხარდაჭერაა. ხალხთან კავშირი, ხალხის მხარდაჭერა და ნდობა მიგვაჩნია ჩვენს ძალად, საზღვრების დაცვაში წარმატებათა საწინდრად. ჩვენ, მესაზღვრეებს, დიდი მეგობრობა გვაკავშირებს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, კრასნოდარის მხარის მშრომელებთან. ამ მეგობრობას საფუძვლად უდევს სამშობლოს სიყვარული, მეზნებარე პატრიოტიზმი. ათასობით რაზმელს, მოსწავლეს, კომუნისტს, კომკავშირელსა და პიონერს სახელმწიფო სასაზღვრის დაცვაში მონაწილეობა ღვიძლ საქმედ, საბჭოთა მოქალაქის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნია.

ამიერკავკასიის მესაზღვრეები კარგად იცნობენ თავიანთ საიმედო თანაშემწეებს: რ. თეოდორაძეს, ო. ფერაძეს, ბ. გურგენიძეს, ვ. კირკიბაძეს, ა. დოლიძეს, ზ. მამაკაძეს, ე. მარგველიანს, ა. სარქისიანს, ა. სუკიასიანს, ი. ბაგიროვს, ნ. ახმეტოვს და ბევრ სხვას. ათობით და ასობით რაზმელი, ნორჩ ნებაყოფლობით მესაზღვრეთა რაზმების წევრი დაჯილდოებულია მედლით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“, სასაზღვრო ჯარების სარდლობის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

კარგ ტრადიციად იქცა საზღვრის დაცვაში მესაზღვრეთა დასახმარებლად ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციის ერთობლივი ღონისძიებანი. ამას ძოწმობს რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირები, კონფერენციები სამხედრო-საშეფო მუშაობის საკითხებზე, ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშეფო საწარმოების, სამეცნიერო, სამეურნეო, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლებია და სამეცნიერო ორგანიზაციების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო-სახალხო განხილვას საბჭოთა სახანო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციით მოქალაქეებისათვის გარანტირებული ბინის უფლება, საცხოვრებელი ფონდის ეფექტიანი გამოყენება და დაცვა.

რესპუბლიკაში ამ კანონპროექტის აქტიური პროპაგანდის, გულმოდგინე შესწავლისა და საქმიანი განხილვის ორგანიზაციის კონკრეტული წინადადებანი გამოთქვეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. ა. შეშანაშვილმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. რ. სანებლიძემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველმა მოადგილემ გ. ბ. ნაჭყებიამ, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილემ ო. დ. იოსელიანმა, საქართველოს სსრ პროკურორმა ა. მ. ბარაბაძემ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. გ. ვაშაძემ. კერძოდ, აღინიშნა, რომ საჭიროა სსრ კავშირის კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის გამოცდილების გამოყენება, ლექტორთა ბრიგადების შექმნა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა და მეცნიერ თანამშრომელთა, საზოგადოება „ცოდნის“ წევრთაგან, რათა ისინი გამოდიოდნენ მოსახლეობის წინაშე, ფართო საზოგადოებრიობას განუმარტავდნენ საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შინაარსს.

თათბირზე ითქვა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიქმნა საკავშირო კომისია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით. იგი კოორდინაციას გაუწევს მთელ მუშაობას რესპუბლიკაში საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის პროპაგანდისა და განხილვისათვის. (საქინფორმი).

იხილავენ საბინაო კანონმდებლობის პროექტს

ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებში საზოგადოებრიობის განსახილველად გამოქვეყნდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. საქართველოში ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის პროპაგანდის, აქტიური, ყოველმხრივი განხილვის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გამართულ თათბირზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლებია და სამეცნიერო ორგანიზაციების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო-სახალხო განხილვას საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციით მოქალაქეებისათვის გარანტირებული ბინის უფლება, საცხოვრებელი ფონდის ეფექტიანი გამოყენება და დაცვა.

რესპუბლიკაში ამ კანონპროექტის აქტიური პროპაგანდის, გულმოდგინე შესწავლისა და საქმიანი განხილვის ორგანიზაციის კონკრეტული წინადადებანი გამოთქვეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, ტანა სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში აკრძალულია. ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ „მწვანე ქუჩა“ გაუხსნა „თავდაცვითი ხასიათის“ სამხედრო ტექნიკის: რადარული დანადგარების, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების, ვერტმფრინავების, კავშირგაბმულობის საშუალებებისა და სხვათა მიწოდებას ჩინეთისათვის.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირთა განცხადება, რომლებმაც გენ ბიაოს დელეგაციის ვიზიტი შეაფასეს როგორც „შემდგომი ლოგიკური ნაბიჯი“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების გზაზე. ოფიციალურმა პირებმა ხაზი გაუსვეს იმის შესაძლებლობას, რომ ვაშინგტონი და პეკინი მომავალში „შეათანხმებენ“ სამხედრო ოპერაციებს“, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო.

თვით გენ ბიაომ განცხადებაში, რომელიც მან გაფრენის წინ პეკინის აეროპორტში გააკეთა ამერიკელი ჟურნალისტების წინაშე, ხაზი გაუსვა „ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მჭიდრო თანამშრომლობას“, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. ამასთან მან აღნიშნა: პეკინს იმედი აქვს, რომ შეერთებული შტატები ისევე მოეკიდება მის მოთხოვნებს, როგორც იგი ეკიდება ამერიკის იარაღის სხვა ისეთ დიდ შემსყიდველთა მოთხოვნებს, როგორიც, მაგალითად, ისრაელია.

გვაგზავნიან ნებებენ საკლესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება ტელეფოტოს ჯურნალზე

მეგობრობა სულ უფრო მტკიცდება

ჰავანა, 27 მაისი (საკუთარი კორ.). კუბაში მყოფმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მეთაურობით, მატანასასის პროვინციაში მოგზაურობის დროს დათვალიერა მეციტრუსეობის მეურნეობა „ვიქტორია დე ხირონი“.

საბჭოთა დელეგაციაში შედის ავრეთვე პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ი. კალაშნიკოვი.

მეციტრუსეობის მეურნეობის დათვალიერებისას საბჭოთა სტუმრებს ახლდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კუბის კომპარტიის მატანასასის პროვინციის აღმასრულებელი ბიუროს პირველი მდივანი ხულიან რისო ალვარესი, სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

მეურნეობის დირექტორმა ხუან სურედამ სტუმრებს უამბო, როგორ სრულდება საწარმოო გეგმები, აღნიშნა, რომ წელს „ვიქტორია დე ხირონი“ სახელმწიფოს ჩაბარებს 140 ათას ტონამდე ციტრუსს.

საბჭოთა დელეგაციის სახელით ჯ. ი. პატიაშვილმა „ვიქტორია დე ხილონის“ მშრომელებს უსურვა დიდი წ

ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა სახალხო მეურნეობაში

გაიმართა საქართველოს სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ეკონომიკურ დანაკარგების ხელშემწყობი რესპუბლიკური შტაბის სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია 1980 წლის პირველი კვარტალისა და აპრილის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის და მუშათა დანაკარგების დენადობის მდგომარეობის შესახებ და შრომის დისციპლინის განმტკიცების ხელშემწყობი დარგობრივი და რეგიონალური შტაბების მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში ერთ მუშაზე გაანგარიშებით მნიშვნელოვნად შემცირდა 1979 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გაწეული მუშაობის შედეგად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღწეულია სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება აჭარის ასს რესპუბლიკის, ქალაქ რუსთავისა და ლაგოდეხის, მახარაძის, ხაშურის რაიონების სამრეწველო საწარმოებში.

საგრძნობლად გაიზარდა სამუშაოს გაკეთებების რიცხვი ქალაქ ფოთისის, ბორჯომის, სამტრედიის, ჭიათურის, წალკის, რაიონების სამრეწველო საწარმოებში.

გაუხდიდა სამუშაო დროის დანაკარგები მეტალურგიული, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოებში.

რესპუბლიკურმა შტაბმა დაავალა სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე იმ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაუშვეს შრომის დისციპლინის მარეგულირებლების გაუარესება, სამუშაო დროის ზენორმატიული დანაკარგები და კადრების დიდი დენადობა პირველ კვარტალში, აგრეთვე დააკისრა შესაბამის დარგობრივ შტაბებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი. მეორე კვარტალში საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველ დარგსა და რესპუბლიკის თითოეულ რეგიონში შრომის დისციპლინის, სამუშაო დროის დანაკარგების და კადრების დენადობის შემცირების მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში არის დიდი გამოუყენებელი რეზერვები ,რომელთა რეალიზაციას უაღრესად ნელა ეწევა შრომის დისციპლინის განმტკიცების ხელშემწყობი დარგობრივი და რეგიონალური შტატების უმრავლესობა.

რესპუბლიკურმა შტაბმა მოიწონა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების ხელშემწყობი რუსთავის საქალაქო, გარდაბნის რაიონული და დარგობრივი (ავტოტრანსპორტზე) შტაბების მუშაობის გამოცდილება.

რესპუბლიკური შტაბის სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამ შტაბის თავმჯდომარემ — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

(საქინფორმი).

„გაკეთებულია პოლონეთში“

თბილისში გაიხსნა პოლონეთის მრეწველობის ნაწარმის გამოფენა

კონსტიტუციის მოედანზე თბილისის სპორტის სასახლესთან ამოსულელები უნებურად ანელებენ ნაბიჯს. მათ ყურადღებას იპყრობს ღია ცის ქვეშ მოწყობილი გამოფენა. ეს არის მძლავრი სამენგლო მანქანები, ტრაქტორები, ავტოკრანები და მსუბუქი ავტომობილები. ყველა ნაწარმს აწერია— „გაკეთებულია პოლონეთში“.

ეს მანქანები ნაწილია პოლონეთის მრეწველობის ნაწარმის გამოფენისა, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 27 მაისს თბილისში. დანარჩენი ათი ათასი ექსპონატი განლაგებულია სპორტის სასახლეში.

გამოფენა კომპლექსური ხასიათისაა: მსხვილი სამრეწველო ნაწარმთან ერთად აქ წარმოდგენილია ფართო მოხმარების საქონელი. პოლონეთის 37-მა საგარეოვაჭრო ორგანიზაციამ სხორტის სასახლეში წარმოადგინა ელექტრონიკის, მანქანათმშენებლობის, საშენებლო ტექნიკის, საავტომობილო მრეწველობის უახლესი პროდუქცია, აგრეთვე სამედიცინო მოწყობილობა, ოპტიკა, რადიოაპარატურა, სპორტული ინვენტარი... ექსპონირებულია პოლონელი მემოდელეების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უკანასკნელი ნიმუშები, „ვეფვეფხოდ ცხობილი ფირმის „პოლენსა“ კოსმეტიკური ნაწარმი.

ახლანდელი გამოფენა ეწყობა ათუბილეო წელს — 35 წელი სრულდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. იგი ყველაზე დიდია საზღვარგარეთის იმ გამოფენათა შორის, რომელიც ოდესმე მოწყობილა საქართველოში. „ექსპოზიციის ორგანიზატორები — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო პალატა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატები — შეეცადნენ გამოფენაზე ისე მოეწყოთ, რომ დამთვალიერებლები რაც შეიძლება სრულად გაეცნონ სოციალისტური ბუნებრივი ეკონომიკის ბოლო მიმავალი პოლონეთის მრეწველობის სხვადასხვა დარგის უკანასკნელ მიღწევებს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აქტიური წევრი თავისი ეკონომიკური პოტენციალითაც მხოლოდ საბჭოთა კავშირს ჩამოუვარდება. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან საქონელბრუნვა რესპუბლიკის მთლიანი ბრუნვის 10 პროცენტს აღემატება. პოლონეთი სსრ კავშირის მთავარი საგარეო-სავაჭრო პარტნიორია.

ფართოდ განვითარდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს ვაჭრობა. ეგენი რესპუბლიკა პოლონეთს აწვდის ჩარხებს, ტექნოლოგიურ აღჭურვილობას, ქიმიურ პროდუქტებს, ჩაის, ღვინოსა და კონიაკს. თავის მხრივ, პოლონეთი გვიგზავნის მრავალფეროვან მოწყობილობას, საფეიერო ნაწარმს, შეკერილ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ოყროშიძემ.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული გამოფენის მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზიანი. მან აღნიშნა, რომ პოლონეთ-საქართველოს თანამშრომლობა წლითიწლობით ფართოვდება და თქვა, რომ უკვე უახლოეს დღეებში პოლონეთის მშრომელები გაეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე, სადაც საქართველო დამოუკიდებელი განყოფილებით წარსდგება.

ამხ. ო. ჩერქეზიამ გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელი გამოფენა დიდ სარგებლობას მოიტანს, ხელს შეუწყობს პოლონეთისა და საბჭოთა საწარმო-ორგანიზაციების საქმიანი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კ. ბარციკოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით სახალხო პოლონეთმა შეძლო დაეჩქარებინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, შეექმნა და გაეფართოებინა სახალხო მეურნეობის ბევრი დარგი. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იგი თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა. სსრ კავშირი პოლონეთის მთავარი და უმნიშვნელოვანესი პარტნიორია პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში. ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობა მისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმია.

ამხ. ბარციკოვსკიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე დიდ შესაძლებლობას ქმნის პოლონეთსა და საქართველოს შორის საქონელგაცვლის გაფართოებისათვის.

შესრულდა სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

გამოფენამ მიიღო პირველი დამთვალიერებლები.

ექსპოზიციის გახსნას დაესწრნენ პოლონელი სტუმრები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენა ათ დღეს გასტანს.

(საქინფორმი).



სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სახალხო ყრილობამ მოიწონა...

როგორც შემოდგომის იმ სამახსოვრო დღეს, კვლავ მოუხმობენ ხალხს სოფლის ზარები, მაგრამ დღეს ისინი სხვანაირად ეკერენ: საგანგაშოდ კი არა, საზეიმოდ...

კაკაბელების ყრილობაზე ჩამოვიდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, მოსამართლე ა. ალადაშვილი, პროკურორი გ. კვასაძე, ბავშვის მომტაცებელთა სასამართლო პროცესის სხვა მონაწილენი. ისინი აქ ჩამოვიდნენ, რათა კაკაბელებისათვის განეცხადებინათ: დამნაშავენი დაისაჯნენ კანონის მთელი სიმკაცრით, ვერავინ გაექცა მართლმსაჯულებას.

შინმოუსვლელი სამასი კაკაბელის ძეგლთან, იქ სადაც გასული წლის შემოდგომაზე ხალხის მრისხანე ხმა გაისმა, ახლა სამარისებური მდუმარება სუფევს: ყრილობის მონაწილენი სულგანაბულნი უსმენენ განაჩენს...

მოსამართლე ა. ალადაშვილი სასამართლო პროცედურას გვერდს უვლის და კაკაბელებს მოუთხრობს იმ ნაძირალების ცხოვრების შესახებ, რომლებთან ერთადაც მათმა ყოფილმა თანასოფელელმა ჯემალ ოტიაშვილმა დანაშაული ჩაიდინა.

ჯემალ მეპურიშვილი — 29 წლის, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის მკვიდრი, არსად არ მუშაობდა, ადრე ნასამართლევი გაუპატიურებისა და ავტომანქანის გატაცებისათვის. ის იყო ჯგუფის წინამძღოლი, ასე ვთქვათ, მისი „იდეური“ ორგანიზატორი. ეს არაკაცი ფულის გულისათვის საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი არ ინდობდა და ულირსი საქციელისთვის იმეტებდა მათ.

დარია გრიგორიანი — 27 წლისა. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში. სწორედ მას ეკუთვნის მამუკა ს.-ს გატაცების იდეა, რომელიც მას ნათესავად ერგებოდა. სწორედ მან დაარიგა მეპურიშვილი: „რას მიედ-მოედებით? მე გასწავლით როგორ უნდა მალე გამდიდრდა!“ და ბავშვის მოტაცების იდეა შესთავაზა.

გივი ჩალაძე — 29 წლისა. პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა, ადრე სამჯერ იყო ნასამართლევი ხულიგნობისათვის. იგი მართავდა ავტომანქანას, რომლითაც წაიყვანეს შიშით ცოცხალმკვდარი ბავშვი.

მედეა ოტიაშვილი — ჯემალ ოტიაშვილის მეუღლე, ორი შვილის დედა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემულია გატაცებული მამუკა ს.-ს დამალვისათვის. სწორედ ის ახშობდა ბავშვის ტირილის ხმას მაგნეტოფონის ჟუსიკით.

მისი მეუღლე—კაკაბელი ჯემალ ოტიაშვილი. ამ ორმოცდაორი წლის „ოჯახის მამამ“ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სასჯელაღსრულებაში გაატარა. ნასამართლევი იყო გაუპატიურებისათვის, ძარცვის, იარაღის უკანონოდ ტარებისათვის... ყოველთვის, როცა სასჯელაღსრულებიდან ათავისუფლებდნენ, კაკაბელებს იმედი ჰქონდათ, გონს მოვა, გამოსწორდებაო. ცდილობდნენ სამუშაოზე მოეწყოთ. მაგრამ ამაო იყო ყველა მათი ცდა. მოსამართლის კითხვაზე, რატომ არ მუშაობდა, ჯ. ოტიაშვილმა თავხედურად განაცხადა: „ეგდა მაკლდა. გუთანი წაჩემო საქმე არ არისო“.

ბანდის სინდისზე მარტო ბავშვის გატაცება როდია. ისინი იტაცებდნენ ავტომანქანებს. სატყუარად ჯ. მეპურიშვილის მეუღლეს — მანანას იყენებდნენ. ეს ვულგარული გარეგნობის ქალი ცდილობდა მძღოლთა ყურადღება მიეპყრო. გზად მანქანაში რომ ჩაუჯდებოდა, ეუბნებოდა, რომ დედამთილს ვერ ვეწყობი და ჩემი ნივთები ამაქვს წამოსაღებიო. როცა მძღოლი „საბრალო“ ქალს დახმარებას აღუთქვამდა და მითითებულ სახლში ჩემოდნების ჩამოსატანად ავიდოდა, მის მანქანას იტაცებდნენ, შემდეგ კი გამოსასყიდს სთხოვდნენ.

სასამართლოს კერძო განჩინებით მანანა მგბურიშვილის წინაღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება.

დაბნაშავეთა დაფარვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე ოთარ ვალიევი —თბილისის № 2 ტაქსმოტორების პარკის მძღოლი, ვაჟა ღვინიაშვილი — თბილისის № 3 საიუველირო სალონის ოსტატი, გიორგი მამულაშვილი — კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მუშა.

საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სასამართლომ მიუსაჯა:

ჯ. მეპურიშვილსა და ჯ. ოტიაშვილს — თხუთმეტი წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით და პატიმრობის მოხდის შემდეგ ხუთი წლის გადასახლება. სასჯელის ვადის მესამედს ისინი მოიხდიან საპატიმროში, დანარჩენ ვადას — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში.

დ. გრიგორიანს — თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა.

გ. ჩალაძეს — ოთხთმეტი წლის პატიმრობა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

მ. ოტიაშვილს — ოთხი წლის პატიმრობა.

ო. ვალიევს და გ. მამულაშვილს — სამი წლის, ხოლო ვ. ღვინიაშვილს ოთხი წლის პატიმრობა.

სასოფლო ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა განაჩენი. აქ გამოსულმა ცნობილმა მევენახემ, ლენინის ორდენოსანმა ი. ცხოვრებაძემ, პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მ. მეზვრიშვილმა, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ გამომკვეთმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. რიმინისთაველმა, საქართველოს სახალხო მხატვარმა კ. გურულმა და სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხალხი ვერასოდეს ვერ აპატიებს დაბნაშავეებს, რომლებმაც ხელი აღმართეს უწმინდეს სალოცავზე — ბავშვზე.

სოფელ კაკაბეთის პირველ ყრილობას რესპუბლიკაში ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. გაზეთებსა და ტელევიზიაში მოვიდა მკითხველებისა და მაყურებლების ასეთასობითი წერილი, სადაც ისინი გულისწყრომით გმობდნენ გატაცებლებს. წერილის ავტორები მოითხოვდნენ დაბნაშავეთა უმკაცრეს დასჯას. ხალხის გულისწყრომის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ კაკაბეთის ყრილობის შემდეგ მეორე ბავშვის გატაცებლებმა თავიანთი ნებით დაუბრუნეს იგი მშობლებს.

სასოფლო ყრილობა დამთავრდა. აქ, გმირთა საფლავზე კაკაბელებმა შეპფიცეს: ისევე, როგორც მევენახე სარეველას სპობს, ჩვენც არ დავინდობთ იმათ, ვინც ხელს გვიშლის პატიოსნად ვიცხოროთ და ვიშრომოთ, ხელყოფს კანონსა და წესრიგს.

თბილისი-კაკაბეთი.

(საქინფორმის სპეც. კორ.).

ავამოქმედოთ საზოგადოებრივი აზრის ძალა

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით გაანაღდონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებსა და საწარმო-დაწესებულებებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული და სასურველ შედეგებსაც აღწევენ.

საერთო წარმატებებს ისიც უწყობს ხელს, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები მთელი სიმკაცრით განაგრძობენ ბრძოლას ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

და მაინც თითო-ოროლა მახინჯს რა გამოუვიდა სოფელში. ესენი არიან მუქთახორები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას და ორიოდე გროშისთვის, როგორც იტყვიან ეშმაკსაც კი მიჰყიდიან სულს.

ამ დღეებში ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ეზოში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ერთგან დროგამოშვებით ქალის მოთქმა გაისმოდა: „შვილო ჩემო, ოჯახის ამომდგომო, დამაქცეველო, დედის ამაგის წყალში ჩამყრელო“...

როცა ვიკითხეთ, რა მოხდა, რა ამბავიაო, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ი. თაკაძე შეგვეხმიანა და მანვე გაგვიმარტა:

—ამას წინათ მძარცველები შეეიპყარით, გაასამართლეს კიდეც, ეს ქალი ერთ-ერთი მათგანის შობელია.

ისინი სამნი არიან, ყველაზე უფროსი 21 წლისაა, უმცროსი —19-ის, შუათანა — 20 წლის, ეს მუქთახორები სახელს ატარებენ ჩვენს საამაყო ახალგაზრდობას.

ზურაბ ოთარის ძე ანდღულაძე ჯოხნარელია. მან თვითნებურად მიატოვა საშუალო სკოლის მეცხრე კლასი და მერხიდან პირდაპირ „ყიგულზე“ გადაჯდა. ბევრი იხეტიალა თუ ცოტა, ბოლოს დაუკავშირდა გოგოლეულიულნელ რეკვაზ ოურის ძე გოგოლაძეს და ჩოხატაურელ ამირან გრიგოლის ძე გოგოლაძეს. უქნარებმა პირი შეკრეს და გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ ბუნაფელი მოხუცის ე. თევზაძის ოჯახს. იშოვეს ცეცხლსასროლი იარაღი, ბინაზე ნიღბები აიფარეს და ერთ ღამეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს — სიკვდილით დაემუქრნენ მოხუცებულს, ძვირფასი ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ. დამნაშავეთა გზა მოკლე აღმოჩნდა, ისინი შეიპყრეს, და, ცხადია, მკაცრი სასჯელიც გამოუტანეს. ახლა ისინი შინაგან საქმეთა განყოფილებიდან სასჯელის მოსახდელად მიჰყავდათ.

მაინც რამ მოიყვანა ისინი ამ დანაშაულამდე? პასუხი ერთია — უსაქმურობამ.

ეს ფაქტი გამონაკლისი რომ იყოს, ამ თემაზე საუბარს არ გავაგრძელებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთეულ შემთხვევებთან ოდი გვაქვს საქმე. რაიონში ათობით პარაზიტი დაეხეტება, ისინი არსად არ მუშაობენ, მოდურად იცვამენ, დროს ატარებენ, ქეიფობენ.

ეილაპარაკოთ პირუთვნელად, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით.

ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსთან ერთად სოფელ კოხნარში გავსწიეთ. როცა ადგილზე მივედით და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. თოდუას სიტყვა ჩამოვუგდეთ ამათზე, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას, წინადადებაც კი არ დაგვამთავრებინა, რიხიანად მოგვიგო: — ჩვენ სოფელში ასეთები არა გვყავს, ეს საქმე მოგვარებულია, არც რაიმე სხვა სერიოზული დარღვევები გვაქვს. ლათებსა და ყუთებში, ჰოდა... მე შენ გეტყვი, მოგებას ვერ ნახულობენ... და ასეთ ვითარებაში გამკითხავი არ ჩანს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ, არცთუ ისე იშვიათად, საკოლმეურნეო ბაზრებში დათარეშობენ სპეკულანტები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებ ი ს ყიდვა-გაყიდვა პროფესიად გაუხდიათ.

წლევანდელი წლის დასაწყისში სოფელ ქვიტირის მცხოვრებთა ყურადღება ორმა მამაკაცმა მიიპყრო, რომლებიც შუკაშუკა დაეხეტებოდნენ და მუშტრის თვალით ზომავდნენ მწვანილით აბიბინებულ საკარმიდამო ნაკვეთებს. მალე მათ ერთი აქაური მცხოვრები ბონდო ბაბუნაშვილი გამოეცნაურა.

— შოთა ხარ შენ, მარგველაშვილი? შეგარცხვინა ღმერთმა, ჩვენკენ ფეხი გამოგცდენია და მე არ მინახულე?

— ოო, ბონდოს სიცოცხლე, ბონდოს— გაიბადრა სტუმარი, — რაზე მატყობ, რომ არ გნახავდი. გაიცანი, ეს ჩემი ახლო მეგობარი რეზო თევდორაძეა, კაცური კაცი, შენ რომ გაგიხარდება, სწორედ ისეთი...

ერთმანეთი გულთადად რომ მიიკითხ-მოიკითხეს, მასპინძელმა სტუმრები შინ მიიპატიჟა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შოთა მარგველაშვილმა მასპინძელს შეუპარა — მალე სეზონი დადგება, ძნელია ერთბაშად საკარმიდამოსაც მიხედო და კოლმეურნეობაშიც იმუშაო, ამიტომ წამოგვშველებით, მოგვყიდე შენი მწვანილი, ჩვენვე მოვიკრეფთ, შენც გახეირებთ და ჩვენც ერთი-ორი კაპიკი დაგვრჩებაო.

სტუმრის რჩევა მასპინძელს ჭკუაში დაუჯდა, დიდხანს ბჭობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც შეთანხმდნენ, მთელ საკარმიდამო ნაკვეთზე დათესილ მწვანილში შ. მარგველაშვილსა და რ. თევდორაძეს უნდა გადაეხადათ 1400 მანეთი, აქედან ბეს — ოთხას მანეთს ახლავე გადასცემდნენ მასპინძელს.

ასე მოევლინენ ქუთაისისა და გორის საკოლმეურნეო ბაზრებს ახალი ჯურის სპეკულანტები. არც მეტი არც ნაკლები, ზუსტად დადგენილია, რომ ბუბუნაშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებული 1820 კილოგრამი მწვანილიდან წმინდა მოგების სახით სპეკულანტები სულ ცოტა 2240 მანეთს მიიღებენ.

ვინ ჯრიან შოთა მოსეს ძე მარგველაშვილი და რევაზ ვალერიანის ძე თევდორაძე? ვინა და მუქთახორები. არც ერთი მათგანი არსად არ მუშაობს, იოლი გზით ცხოვრებას ამჯობინებენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლეჯონ ხალხს. უფრო მეტიც, შ. მარგველაშვილი, რომელიც წარმოშობით ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანევი დ ა ნ არის, ცოლ-შვილით ამჟამად სოფელ ბანოჯაში ჩაუწერლად ცხოვრობს. რ. თევდორაძე კი ქუთაისელია, ბაზრიდან ბაზარში დაეხეტება და სპეკულანტობით ირთობს თავს.

არაერთხელ ითქვა, დაიწერა და ყველაც უნდა გავიმეოროთ, რომ უსაქმურობა და მუქთახორობა ყოველივე მანკიერისა და დანაშაულის სათავეა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ყველა ჩვენგანმა უნდა გადავხედოთ, ვინ ცხოვრობს ჩვენ გვერდით, ვინ სად მუშაობს და რას ქმნის. სხვანაირად არ შეიძლება. სხვანაირად წესრიგი არ დამყარდება.

დ. გედენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვინ ცხოვრობს შენ გვერდით?

სპეკულანტების პრიმიტიკა

ანუ რატომ იყიდება საკოლმეურნეო ბაზრებში

მწვანილი მამასისხლად

სხვები რა მოგახსენოთ, მაგრამ ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზარს დღემდე რომ შემორჩა „მწვანე ბაზრის“ სახელი, ეს ფაქტია. ქალაქის შემოგარენში არსებული სოფლების მშრომელებს საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში წელიწადის ყოველ დროს უხვად მოჰყავთ მწვანილი, და ბაზარშიც მუდამ ბლომად არის იგი, მაგრამ...

— რა ღირს თქვენი მწვანილი?

— ინებეთ, ჩემო ბატონო, სულ ახალია, ცინცხალი... ერთი კონა აბაზად ფასობს. — თვალთმაქცურად იღიმება გამყიდველი და ხელში გაჩიჩებს ეგრეთ წოდებულ კონას, სამოთხი ღერით რომ არის შეკრული ახალი ხახვი თუ ოხრახუში, ქინძი თუ ქონდარი.

— წონით არ იყიდება? — ეკითხებით თქვენ, გეძვირებათ და თან გეცოტავებათ გამყიდველის მიერ შემოთავაზებული მწვანილი.

— წონით, ჩემო ბატონო, მაღაზიაში ყიდიან, აქ კი ბაზარია, — წყენით ჩაილაპარაკებს იგი.

ბოლო ხანებში ხიღბოსტნეულის მაღაზიებიც საკმაოდ მომრავლდა ქალაქში, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით, მაგრამ ახალ მწვანილს აქ იშვიათად შეხვდებით, და თუ სადმე წაიწყდებით, საყიდლად გული არ მიგიგავთ და ისევ ბაზარს უნდა მიუბრუნდეთ.

მეორე უცნაურობაც ჭირს ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზარს—საიდან არ მოდიან აქ ცეკავშირის აბრით სხვადასხვა რაიონში განლაგებული რესტორნებისა და სასადილოების (მათი რიცხვი კი იზრდება და იზრდება) მუშაკები, იმასაც ამბობენ, ზოგიერთ მათგანს თავიანთი „მუდმივი წარმომადგენელიც“ კი დაუნიშნავს ბაზარშიო. ისინი წესსა და რიგს როდი დაგიდევენ, მაინცდამაინც არც ფულზე იხევენ უკან, დარეკენ ხელს და თუ კი რამ საუკეთესო და ძვირფასია, უანგარიშოდ ჩაყრიან გრძელ კალთებსა და ყუთებში, ჰოდა... მე შენ გეტყვი, მოგებას ვერ ნახულობენ... და ასეთ ვითარებაში გამკითხავი არ ჩანს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ, არცთუ ისე იშვიათად, საკოლმეურნეო ბაზრებში დათარეშობენ სპეკულანტები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებ ი ს ყიდვა-გაყიდვა პროფესიად გაუხდიათ.

წლევანდელი წლის დასაწყისში სოფელ ქვიტირის მცხოვრებთა ყურადღება ორმა მამაკაცმა მიიპყრო, რომლებიც შუკაშუკა დაეხეტებოდნენ და მუშტრის თვალით ზომავდნენ მწვანილით აბიბინებულ საკარმიდამო ნაკვეთებს. მალე მათ ერთი აქაური მცხოვრები ბონდო ბაბუნაშვილი გამოეცნაურა.

— შოთა ხარ შენ, მარგველაშვილი? შეგარცხვინა ღმერთმა, ჩვენკენ ფეხი გამოგცდენია და მე არ მინახულე?

— ოო, ბონდოს სიცოცხლე, ბონდოს— გაიბადრა სტუმარი, — რაზე მატყობ, რომ არ გნახავდი. გაიცანი, ეს ჩემი ახლო მეგობარი რეზო თევდორაძეა, კაცური კაცი, შენ რომ გაგიხარდება, სწორედ ისეთი...

ერთმანეთი გულთადად რომ მიიკითხ-მოიკითხეს, მასპინძელმა სტუმრები შინ მიიპატიჟა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შოთა მარგველაშვილმა მასპინძელს შეუპარა — მალე სეზონი დადგება, ძნელია ერთბაშად საკარმიდამოსაც მიხედო და კოლმეურნეობაშიც იმუშაო, ამიტომ წამოგვშველებით, მოგვყიდე შენი მწვანილი, ჩვენვე მოვიკრეფთ, შენც გახეირებთ და ჩვენც ერთი-ორი კაპიკი დაგვრჩებაო.

სტუმრის რჩევა მასპინძელს ჭკუაში დაუჯდა, დიდხანს ბჭობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც შეთანხმდნენ, მთელ საკარმიდამო ნაკვეთზე დათესილ მწვანილში შ. მარგველაშვილსა და რ. თევდორაძეს უნდა გადაეხადათ 1400 მანეთი, აქედან ბეს — ოთხას მანეთს ახლავე გადასცემდნენ მასპინძელს.

ასე მოევლინენ ქუთაისისა და გორის საკოლმეურნეო ბაზრებს ახალი ჯურის სპეკულანტები. არც მეტი არც ნაკლები, ზუსტად დადგენილია, რომ ბუბუნაშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებული 1820 კილოგრამი მწვანილიდან წმინდა მოგების სახით სპეკულანტები სულ ცოტა 2240 მანეთს მიიღებენ.

ვინ ჯრიან შოთა მოსეს ძე მარგველაშვილი და რევაზ ვალერიანის ძე თევდორაძე? ვინა და მუქთახორები. არც ერთი მათგანი არსად არ მუშაობს, იოლი გზით ცხოვრებას ამჯობინებენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლეჯონ ხალხს. უფრო მეტიც, შ. მარგველაშვილი, რომელიც წარმოშობით ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანევი დ ა ნ არის, ცოლ-შვილით ამჟამად სოფელ ბანოჯაში ჩაუწერლად ცხოვრობს. რ. თევდორაძე კი ქუთაისელია, ბაზრიდან ბაზარში დაეხეტება და სპეკულანტობით ირთობს თავს.

არაერთხელ ითქვა, დაიწერა და ყველაც უნდა გავიმეოროთ, რომ უსაქმურობა და მუქთახორობა ყოველივე მანკიერისა და დანაშაულის სათავეა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ყველა ჩვენგანმა უნდა გადავხედოთ, ვინ ცხოვრობს ჩვენ გვერდით, ვინ სად მუშაობს და რას ქმნის. სხვანაირად არ შეიძლება. სხვანაირად წესრიგი არ დამყარდება.

დ. გედენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ინფორმაციები ჟურნალისტის წინააღმდეგ ბანონის

გამაკაცრებას

პროკურორის სანაპიროზე მივიდა

რესპუბლიკის მშრომელებმა დიდად მოიწონეს პრესაში გამოქვეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივთან რესპუბლიკის პროკურორის ა. ბარაბაძის შეხვედრაზე, რომელმაც თავის დროზე მოითხოვა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერება ამ სახის დანაშაულთა მიმართ.

გაიმართა საქმიანი, გულახდილი საუბარი დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრობლემებზე. ზეინკალმა ზ. ნადირაშვილმა, ქარხნის ვეტერანმა, საქართველოში პირველი კომუნისტური შაბათობის მონაწილემ ზ. ჯლანტიაშვილმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა ტ. ჯაბაურმა, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. სიჭინავამ და სხვებმა ხაზი გაუსვეს ახალი კანონის დიდ მნიშვნელობას, მთელი პრინციპულობით დააყენეს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორმა ა. ბარაბაძემ ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული, ადმინისტრაციული ორგანოები ეწევიან ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, მან პასუხი გასცა მუშებ

ქვეყნის ყველა ფერი

(დასასრული)

კანონებით მოაწყოს. სილამაზე კი, როგორც ამბობდა ვ. ი. ლენინი, ყოველგვარი წინსვლის საწყისი პუნქტია, ადამიანების სულიერი გამდიდრების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

ყოველივე ამის მნიშვნელობა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ქვეყნის გამოჩენილ მხატვრებთან და მათ შთაგონებულ ნაწარმოებებთან უშუალო, ცოცხალი ურთიერთობის დღეებში. და უეჭველია, რომ ეს შეხვედრები დიდ სარგებლობას მოიტანს, უწინარეს ყოვლისა, ქართული სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს. ძნელია ჯერჯერობით არ შეაფასო ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მათ მჭიდრო კონტაქტს მომძე რესპუბლიკების ფერწერებთან, გრაფიკოსებთან და მოქანდაკეებთან, მწვავე შემოქმედებითს კამათს გამოფენებზე და სახელოსნოებში. ეს შეხვედრები კიდევ უფრო დაახლოებს მხატვრული კულტურის ოსტატებს, ხელს შეუწყობს იმ პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტას, რომლებიც საბჭოთა სახვითი ხელოვნების წინაშე დგას ხალხის საგმირო საქმეთა ღირსეული ასახვის საქმეში.

დღეს, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის წინ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სიტყვები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა თბილისში 1971 წლის 14 მაისს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით.

„სულიერ ფასეულობათა შექმნა ფაქიზი და რთული საქმეა... ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ხშირად როდი იქმნება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, საუკუნეებში რჩება. და მაინც გვინდა, რომ ჩვენში იქმნებოდეს ისეთი ძალის მატი ნაწარმოები, რომლებიც მარტო ჩვენ, თანამედროვეებს როდი მოგვხვდებოდა გულს და აღგვაფრთოვანებდა. საჭიროა, რომ ჩვენმა შთამომავლობამ ათწლეულების შემდეგ თქვას: ჩვენ 70-იანი წლების საბჭოთა ადამიანებისაგან მივიღეთ იმ დიადი დროის ღირსეული ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, იმ დიადი საქმეების ღირსეული მემკვიდრეობა, რომლებსაც ისინი აკეთებდნენ!“.

იგივე მინდა ვუსურვო ყველას, ვინც დაიწინაურებს ჩვენს სახვითს ხელოვნებას ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით ამბ. ო. ჩერქეზია მიესალმა ძვირფას სტუმრებს — ფუნჯისა და საჭრეთლის გამოჩენილ ოსტატებს, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლებს, და უსურვა მათ დიდი ბედნიერება, ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

საღამოზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ნ. პონომარიოვმა.

— საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, — თქვა მან, — საბჭოთის მრავალეროვნული მხატვრული კულტურის ჩვენი საერთო ღღესასწაულის ერთ-ერთი შესანიშნავი, სასიხარულო მოვლენაა.

ძველი და მარად ახალგაზრდა ქართული მიწა-წყალი, მისი შესანიშნავი ადამიანები ტრადიციული ეროვნული სტუმართმოყვარეობით, გულუხვად და გულითადად მასპინძლობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ჩამოსულ მხატვრებს.

დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეებს, ეროვნული ქართული სამხატვრო სკოლის მიღწევათა ფართო ჩვენებას, ყველა ეროვნული სკოლის ოსტატთა ნაწარმოებების სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენისა და მცირე ფორმების ქანდაკების სრულიად საკავშირო ექსპოზიციის გახსნას ქალაქ თბილისში, რომელიც გამორჩეევა საოცარი მომხიბვლელობითა და განუმეორებელი სილამაზით.

ხელოვნების დღეების პროგრამით გათვალისწინებულია შეხვედრები რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლებთან, სოფლის მეურნეობის მშრომელებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ხალხურ ოსტატებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებთან. ამ შეხვედრებს თან სდევს საინტერესო გამოფენების, ახალი ნაწარმოებების ჩვენება.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოგზაურობამ, ხოლო კახეთში ყოფნა და იქ მხატვართა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი ჯგუფის მუშაობა მკაფიოდ, ხატოვნად აისახა ამ ჯგუფის მონაწილეთა ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებებში.

ჩვენ ველით ახალ საინტერესო შეხვედრებს, მათ შორის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, რუსთაველ მეტალურგებთან, ბავშვთა მხატვრული შემოქმედების მუზეუმში, სახვითი ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატებთან.

ყოველი ასეთი შეხვედრა სიამაყით გვივსებს გულს ჩვენი ხალხისთვის, ყოველივე იმისათვის, რაც შეუქმნია მის მაძიებელ შემოქმედებითს აზრს, საბჭოთა ადამიანის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, აღმშენებლობითს შრომას.

რესპუბლიკებში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები ახალი ფორმაა ჩვენი მრავალეროვანი კოლექტივის შემოქმედებითი, იდეურ-ხელოვნური და ესთეტიკური აღმზრდელობითი მუშაობისა, რომელსაც ვეწვით „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული ამოცანების კომუნისტური აღდგენაზე.

მრავალეროვნული საბჭოთა მხატვრული კულტურის მიღწევების ასეთი მასშტაბური საზოგადოებრივი დათვალიერებანი ჩვენი ხელოვნების იდეურ-პროფესიული დონის, საკავშირო შემოქმედებითი შრომის შედეგებისათვის ხელოვნის პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების აქტიური სტიმულია.

მეგობრული შეხვედრები დაამშვენა ქართველ ხელოვნების ოსტატთა და ბავშვთა მხატვრული კოლექტივების გამოსვლებმა.

საინტერესო საღამო დამთავრდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელების გამოსვლით, რომლებმაც შეასრულეს საღღესასწაულო ცეკვა, სიმბოლურად რომ გამოხატავს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობასა და ძმობას. (საქინფორმი).

დავითი ჟიჟიანი — მატჩის გმირი

გუშინ ლვოვში ადგილობრივ „კარპატისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრა სტუმართა ამაკარა უპირატესობით წარიმართა. მიუხედავად ამისა, პირველი გოლი დინამოელთა [illegible] რში გავიდა. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა ერთ-ერთმა ლვოველმა თბილისელთა საჯარიმო მოედანთან ხელით ითამაშა, ჯარიმაზე დაიმედებული სტუმრები ეთამაშნენ მოდუნდნენ, მსაჯის დროებით ალარად ისარგებლა შტრაფ მინლით კარგად ისარგებლა შტრაფ მენკომ და 76-ე წუთზე „დინამოს“ კარი აიღო. ამის მერე ოთხ წუთში ყიფიანმა ჯერ საჯარიმოდან გაქვითა ანგარიში, შემდეგ კი მეტად საჭირო გამარჯვება მაუწყებელი გოლიც გაიტანა. ორივე შემთხვევაში ყიფიანი დიდოსტატურად იმოქმედა. გუნდი შინ ორი ქულით ბრუნდება — 2:1. გაიმარჯვეს თბილისელმა დუბლიორებმაც — 1:0. გოლი გაიტანა კერესელიძემ.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, ქოტავა, ჩიკვაძე, ხინჩაგაშვილი, სალაქველიძე (გ. მაჩაიძე), დარასელია, ჭილაია (თავაძე), მინაშვილი, შენგელია, ყიფიანი, ნელაძე.

სხვა მატჩები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ცხრე ტურის სხვა მატჩების შედეგები ასეთია:

„ლოკომოტივი“-მინსკის „დინამო“ — 2:3

კიევის „დინამო“-„ნეფთჩი“—2:0

„ჩერნომორ.“-„ფაზთაქორი“—2:0

„შახტიორი“-„ყაირათი“ — 0:1

„ზენიტი“-„სპარტაკი“ — 1:1

ცსკა-მოსკოვის „დინამო“ — 0:0

დონის როსტოვის ასკ-„არარატი“ — 2:1

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 28 მაისისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	
„დინამო“ თბ.	5	3	1	16-6	1[illegible]
„სპარტაკი“	5	3	1	12-3	1[illegible]
„დინამო“ კ.	5	2	2	17-9	1[illegible]
ასკ	4	4	1	12-7	1[illegible]
„ზენიტი“	4	3	2	12-12	1[illegible]
„დინამო“ მნ.	3	5	1	12-7	1[illegible]
„დინამო“ მ.	3	4	2	8-7	1[illegible]
„ჩერნომორ.“	3	4	2	6-5	1[illegible]
„ფაზთაქორი“	3	3	3	9-8	[illegible]
„არარატი“	2	5	2	8-8	[illegible]
„ყაირათი“	2	4	3	9-13	[illegible]
„ლოკომოტ.“	2	3	4	10-11	[illegible]
„შახტიორი“	2	3	4	10-12	[illegible]
„ტორპედო“	2	3	3	3-5	[illegible]
ცსკა	2	3	4	5-12	[illegible]
„ყუბანი“	1	4	3	6-7	[illegible]
„კარპატი“	1	2	6	6-18	[illegible]
„ნეფთჩი“	0	4	5	3-14	[illegible]

სატურნირო ორგიტა

ოლიმპიადა. გუშინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ 24 მაისის 24 საათისათვის მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე განცხადი შემოიტანა 85 ქვეყანამ. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ალჟირი, ანგოლა, ანდორა, ავღანეთი, ახალი ზელანდია, ბელგია, ბენინი, ბირმა, ბულგარეთი, ბოლივია, ბრაზილია, გაბონი, გაიანა, გვატემალა, გვინეა, გდრ, დანია, დიდი ბრიტანეთი, დომინიკანელთა რესპუბლიკა, ერაყი, ესპანეთი, ეკვადორი, ეთიოპია, ვენესუელა, ვიეტნამი, ზამბია, ზიდა ვოლტა, ზიმბაბვე, იამაიკა, ინდოეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, იუგოსლავია, კამერუნი, კვიპროსი, კოლუმბია, კონგო, კოსტა-რიკა, კუბა, კუვეიტი, კხდრ, ლაოსი, ლესოტო, ლიბანი, ლიბია, ლუქსემბურგი, მავრიტანია, მადაგასკარი, მალი, მალტა, მექსიკა, მონღოლეთი, ნეპალი, ნიგერი, ნიგერია, ნიდერლანდი, ნიკარაგუა, პანამა, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, პუერტო-რიკო, რუმინეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საბერძნეთი, ხეიშელის კუნძულები, სენეგალი, სირია, სსრ კავშირი, სურინამი, სიერა-ლეონე, ტანზანია, ტრინიდადი და ტობაგო, უგანდა, უნგრეთი, ფინეთი, შვეიცარია, შრილანკა, ჩეხოსლოვაკია.

წყალბურთი. თბილისში მიმდინარე ახალგაზრდული გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩი საქართველოს ნაკრებმა მოუგო მოსკოვის ძლიერ კოლექტივს — 4:3. დიდებულად ითამაშა მასპინძელთა მეკარე ტუკვაძემ, რომელმაც არაერთხელ იხსნა კარი აკარა გოლისაგან. დანარჩენი 2 მატჩი ასე დამთავრდა: ყაზახეთი — აზერბაიჯანი — 5:2, რსფსრ-უკრაინა — 6:2. გუნდების სატურნირო მდგომარეობა დღისათვის ასეთია: ყაზახეთი — 4 ქულა, რსფსრ — 3, საქართველო — 2, მოსკოვი — 2-2, აზერბაიჯანი — 1, უზბეკეთი — 0.

რედაქტორის მოადგილე

ბ. ნაბეულები.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების VIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების მორიგი VIII ყრილობა გაიხსნება 1980 წლის 30 მაისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 29 მაისს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში (ი. ჭავჭავაძის გამზირი, 35) დილის 9 საათიდან 18 საათამდე, ხოლო 30 მაისს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

რეჟისორმა რობერტ სტურუამ ქართული თეატრალური ლენინიანის ახალი შესანიშნავი ფურცელი გადაშალა. მის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული მ. პატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ არა მარტო მხატვრული, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენაც არის, რომელიც თავისი სიმძაფრით, ცხოვრებისეულ პრობლემათა მასშტაბურობით, ღრმა აზრითა და თანადროულობით აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას. ამ დოკუმენტურ და პოლიტიკურ სპექტაკლს მაფარ დინამიკურობას ანიჭებს იდეათა ბრძოლა, ამ იდეების ზნეობრივი საფუძვლების ძიება. ფშვათონ თანამმედეგრობთ, სიზუსტით ჩვენ წინაშე ლენინური აზრებისა და იდეალების მთელი სამყარო იშლება და ეხედავთ ამ სამყაროს ცენტრში მდგარ ლენინის პიროვნებას, რომლის ტიტანური გონება და ზნეობრივი ძალა მუდმივ ბრძოლაში და მოძრაობაშია ჩართული.

სპექტაკლის უმთავრეს მომენტად რ. სტურუამ აქცია ცოცხალი აზრის დაბადება, მისი განვითარება და ჩვენს თანამედროეობასთან მისი თანახმიერი აყოლერება. შას კარგად ესმის, რომ თვით ყველაზე გენიალური აზრიც კი, თუ იგი არ მომდინარეობს უშუალოდ სცენური სიტუაციიდან, სქემების სიმშრალეს ვერ ასცდება და გენიალური რეზონიერი ასევე უსიცოცხლო კოლოსად წარმოგვიდგება, თუ წინასწარმეტყველის პოზაში დადგება. ამ შემთხვევაში (სპექტაკლში) ჩვენ ბედნიერ გამონაკლისთან გვაქვს საქმე: ლენინი აქ ამა თუ იმ პოლიტიკურ ან სოციალურ მოვლენას უბრალოდ კი არ აფასებს მხოლოდ, იგი ამ მოვლენის ცენტრში დგას, თვით იძლევა სიტუაციის წარმოქმნისა და განვითარების იმპულსს — ამგვარად, მას ყველაფერზე წინასწარ კი არა აქვს მოფიქრებული პასუხი, არამედ ცოცხალი რეაგირების პროცესში — სადაც მისი გონება და გრძნობა ერთდროულად არის ამოქმედებული — იკვეთება მისი ადამიანური პოზიცია. სპექტაკლის ცენტრალური სახის ამგვარი გააზრება ამ პუბლიცისტურ, პოლიტიკურ დრამას ავსებს მღელვარე ემოციებით, ცხოვრების კონფლიქტებით, პიროვნული მომხიბვლელობით და, ვიტყოდი, ჭეშმარიტად არტისტული გზნებით — ყოველივე ამის გამო, ჩვენ წინაშეა არა მარტო „ცდა პუბლიცისტური დრამისა“ (როგორც ავტორი განსაზღვრავს თავისი პიესის ჟანრს), არამედ პუბლიცისტური და მხატვრული დრამის ერთიანობა.

რეჟისორი ქმნის წმინდა სცენურ დრამატურგიას, რომელიც ეყრდნობა სტურუასეული თეატრის ბუნებას. რასაკვირველია, იგი ხელმძღვანელობს პიესის დრამატურგიული კონსტრუქციის თავისებურებით, მისი სამყაროთი, მაგრამ იქმნება ახალი სინამდვილე, სცენური სინამდვილე, რომელიც თავისი (ამ შემთხვევაში სტურუასეული) კანონებით არსებობს. აქ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ეპიზოდის შინაგან დაძაბულობას, მის მიკროსამყაროს და მასში არსებულ კონფლიქტს. თუ აქამდე მის სპექტაკლებში სცენური ეპიზოდი ექსტატური დაძაბულობიდან მეორე ეპიზოდზე გადადიოდა და ასე იქმნებოდა სცენური დრამატურგიის განვითარების უაღრესად დაძაბული სტრუქტურა, თავის ბოლო სპექტაკლებში რ. სტურუა ამით აღარ კმაყოფილდება და მეტ მრავალპლანიანობას ესწრაფვის.

მეორე მომენტი: პიესის ეპიზოდი, რომელიც არ ემორჩილება თეატრალურ წარმოსახვას, თამაშს, ერთი სიტყვით, თეატრალობას, რეჟისორისთვის „მკვდარი“, მხოლოდ ინფორმაციის შემცველი ეპიზოდია. ასეთ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია, რეჟისორი თვით იგონებს ეპიზოდის იმგვარ დრამატურგიას, რომელიც იმანენტურად უკვე შეიცავს თეატრალური გათამაშების შესაძლებლობას.

ამ სპექტაკლში პიესის ეპიზოდები განსაზღვრული თანამიმდევრობით კი არ მიჰყვებიან ერთმანეთს, არამედ ერთმანეთში არიან „შეჭრილნი“, რაც სრულიად განსხვავებულ ტონალობასა და კულმინაციას ანიჭებს სცენებს. უმწვავესი შეჯახება, წინააღმდეგობის გამოვლენა ხდება რეჟისორის მიერ შექმნილ სცენურ სივრცეში და დროში, რომელიც განსხვავდება პიესის სივრცისა და დროისგან. სპექტაკლში იგი უაღრესად კონდისირებულია, ორი ან მეტი სხვადასხვა ეპიზოდის შერწყმა, „გადაბლართვა“ ერთ მომენტში და ერთ ადგილას არის ფოკუსირებული, რაც ერთი მთლიანი მოვლენის მრავალმხრივ, მრავალფეროვან ასპექტს ბადებს. სწორედ ამგვარი რეჟისორული აზროვნება ანიჭებს მის სცენებს პოლიფონურ ჟღერადობას და არა მარტოოდენ სცენოგრაფიის, მუსიკის, ხმაურის, პლასტიკის ის ორგანული განცდა, რაც ასევე დამახასიათებელია რ. სტურუასათვის. სცენების აგების ეს რთული პრინციპი გვაძლევს უფლებას ვუწოდოთ მას რეალისტური სიმფონიზმის პრინციპი.

რეჟისორისათვის არსებობს, როგორც მხატვრული სინამდვილე, დრამატურგის მიერ შექმნილი სამყარო, ამ სამყაროში იგი თავისუფლად გრძნობს თავს: ინარჩუნებს მის საერთო სტრუქტურას, მაგრამ „ნებისმიერად“ გადააქცევს აქეთ-იქეთ სცენები, ავითარებს პარალელურ მოქმედებას, ზოგიერთ გმირს უთანგრძლივებს სცენაზე ყოფნის დროს, აძლევს მას სხვის რეპლიკას, რამდენიმე დიალოგი ერთმანეთს კვეთს და მსჯელავს, ხოლო სცენაზე ჩნდება ახალი მოქმედი პირი. მოქმედება წამიერად ყოვნდება, რათა — ჩართული სცენის შემდეგ — კვლავ განაგრძოს განვითარება, უფრო მძაფრად, რადგან ამ „შეყოვნების“ დროს ამ ჩართულმა სცენამ კატალიზატორის ფუნქცია იკისრა.

ამ სპექტაკლშიც არ ღალატობს რეჟისორი სცენოგრაფიის ე. წ. სიმეტანურ პრინციპს, როცა ერთ სცენურ სივრცეში გაერთიანებულია მოქმედების სხვადასხვა პლასტი. აქ ჩვენ ვხედავთ დიდ, გაშლილ სამყაროსაც, სადაც უამრავი რამ ერთმანეთის გვერდით არსებობს (მხატვარი — გ. ბესხიშვილი) და სადაც ზოგადი და კონკრეტული ერთმანეთს ავსებს. ჩვენ არ გვტოვებს კოსმოსური მასშტაბის შეგრძნება და ამავე დროს არ გვეჩოთირება ყოფის უბრალო ატრიბუტები: ვარსკვლავებით მოქეფილი მუქი ლურჯი ცა, დიდი მასშტაბით გამოსახული სამყაროს რელიეფი და იქვე ძველი რუკა, პატარა თუნუქის ღუმელი — კოსმოსში გაწვდილი მილით, უბრალო სამუშაო მაგიდა, მოლბერტი და რკინის მაგარი საწოლი. სწორედ აქ უნდა გათამაშდეს სცენური ისტორია, რომელიც ზოგადია, საკაცობრიოა, საყოველთაო და რომელიც, ამავე დროს, მოწყვეტილი არ არის ყოველდღიურობის რეალურ საგნებს, აღბეჭდილთ ეპოქის ნიშნებით.

პირველ სცენას იწყებს ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი გოგონა (ნ. კაკაბაძე, თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი) — რეჟისორის ფანტაზიის ნაყოფი, რომელიც სპექტაკლს თავიდან ბოლომდე მიჰყვება, როგორც პოეტის მუზა — ხან სევდიანი, გულის სიმების შემრხევი, ხან მოთამაშე და ირონიული — თანაგრძნობის ღიმილის გამომწვევი. სადა, გამომსახველი მელოდიის ფონზე (კომპ. გ. ყანჩელი) გაისმის:

Небо крылом
Повело по земле —
Синие кони
На красной траве...

და ამას აღვიქვამთ, როგორც სპექტაკლის მეტაფორას, მის „შინაგან“ კამერტონს, ერთსადაიმავე დროს პოეტურსაც და მუსიკალურსაც — თითქოს ჩვენ თვალწინ რევოლუციურ ლეგენდას უნდა აეხადოს ფარდა, მაგრამ ზოგადი პოეტურობის ნაცვლად ოციანი წლების დოკუმენტები ამეტყველდება, ასე შეერწყმის — უკვე სპექტაკლის დასაწყისშივე — ამაღლებული განწყობილება და შეუქცეველი, მკაცრი ისტორიული სიმართლე. ამ სიმართლის მთელ ფონს და სიღრმეს წარმოაჩენს ლენინი, რომელსაც სამი მსახიობი (ე. მაღალაშვილი, გ. ხარაბაძე და ვ. ლოლაშვილი) წარმოადგენს. ეს არის რეჟისორის ძალიან თამამი და ორიგინალური სვლა — არც ერთი მათგანი არ „თამაშობს“ კონკრეტულად ლენინს (არაეთარი პორტრეტული გრიმი) — სპექტაკლის ავტორებიც ხომ გვაუწყებენ «Образ Ленина — это мысль Ленина», მაგრამ, ჩვენ გვიჩნდება სრული შინაგანი რწმენა, რომ ვუყურებთ სავსებით კონკრეტულ ადამიანს, **მთლიანი პიროვნების მთლიან ხასიათს.** ეს არის განსაცვიფრებელი ილუზიური ეფექტი, მიღწეული დიდი მხატვრული დამაჯერებლობით. მსახიობები ბელადის სამ ჰიპოსტასს კი არ განასახიერებენ, მისი ბუნების სამ თვისებას კი არ წარმოადგენენ, არამედ „მთელ მის პიროვნებას — გრძნობებისა და აზრების გაცილებით ფართო სპექტრით, ვიდრე ეს შესაძლებელია პირობითობის ამ ჩარჩოებში. ამავე დროს სამივე მსახიობი საკუთარ ინდივიდუალურ თვისებას ბოლომდე ინარჩუნებს (ამით ხაზგასმულია არა როლში გარდასახვის, არამედ წარმოდგენის მომენტი, რასაც აძლიერებს ის გარემოებაც, რომ იგივე მსახიობები ბრწყინვალედ გამოდიან სხვა, ეპიზოდურ როლებში, რათა შემდეგ, ისევ დაუბრუნდნენ ძირითადი როლის თამაშს): ე. მაღალაშვილი შინაგანად გაწონასწორებული ძლიერი და დაბრძენებულია; გ. ხარაბაძე ტემპერამენტით, შინაგანი იუმორით, ახალგაზრდული სიხალისით სავსე, ვ. ლოლაშვილი მკვეთრია, უფრო სარკასტული ირონიით გამსჭვალული. დევ უფრო რელიეფურს ხდის ფარაჯიანი გოგონას მინამღერი-შაირი იმ ეპიზოდებში, სადაც მოჩვენებითი კომუნისტობაა მხილებული:

«Шевелит осенний лес
Кленами ветвистыми,
Кто там в партию пролез
Зваться коммунистами»...

რეჟისორი კიდევ უფრო ამძაფრებს სცენურ პირობითობას — მეორე მოქმედების ბოლო სცენაში ვხედავთ ლენინის როლის შემსრულებელ სამივე მსახიობს, რომელნიც ცალ-ცალკე და ერთად უტევენ ვინმე საპოენიკოვას. ეს არის დიდი სოციალური განზოგადების შემცველი სცენა, ფრიად დაცლილი პიესის იმავე სცენას, რომელსაც უპირატესად ანარეკლი ხასიათი აქვს. რეჟისორს საპოენიკოვას სახე დიდი მასშტაბით აქვს გააზრებული. ეს არ არის უბრალოდ უგვანო, გაუნათლებელი გაბიუროკრატებული კომუნისტი ქალი, რომელსაც კომუნისტური ლოზუნგები და ფრაზები კი გაუზუთხავს, მაგრამ მათ აზრს ვერ ჩაწვდომია. სპექტაკლში იგი წარმოდგენილია როგორც სოციალური ბოროტება — თავგასული, თვითდაჯერებული, მოუგერებელი ძალის მონსტრი. იგი თავად მოვლენაა (ამ რთულ, ზოგად ხასიათს ძალიან კარგად წარმოგვიდგენს მ. კახიანი — თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი), რომელსაც დაუნდობლად უნდა შეებრძოლო. და სცენაზე, მართლაც, ბრძოლის ქარ-ცვალი ტრიალდება. ცნობილია, ლენინი გასაკუთრებით საშიშ მოვლენად მიიჩნევდა კომუნისტურ ბიუროკრატიას და მოითხოვდა მის ძირშივე აღკვეთას. თუ რაოდენ საშიში შეიძლება იყოს ეს მოვლენა, გროტესკული სიმძაფრითა და განზოგადებით არის ნაჩვენები სპექტაკლში და ასევე დიდი ძალით არის წარმოდგენილი ლენინის გამანადგურებელი ლოგიკა. ამ სცენის ფინალს მეტ ირონიას სძენს ფარაჯიანი გოგონას რეფრენი — შაირი:

. . . . . .

«Мусор с нашего
лучистого пути
Эх, метелица,
метелица, мети!»...

იდეათა ამ ბრძოლის მთელ გზას სპექტაკლში პარალელურად მიჰყვება ასევე რეჟისორის მიერ შექმნილი მეორე პლანი — ადამიანური ტკივილებით, მოახლოებული ტრაგედიის სიმწრით სავსე — ეს არის წინთგრძნობა ლენინის სიკვდილისა, რის გამოც მისი უკანასკნელი ძალთაზმევა აღიქმება როგორც ანდერძი მომავალი თაობებისადმი. ამ მოტივს კიდევ უფრო გამოკვეთს სასიკვდილოდ დაჭრილი მხატვრის ბედი, მხატვრისა, რომელიც მხოლოდ აუტანელი ტკივილებისაგან შვების წუთებში ხატავს ლურჯ ცხენებს წითელ ბალახზე, სურათს — „მომავალი ერთიანობისა და ძმობის მეუფეზაზე, როცა ადამიანი ჭეშმარიტად ლამაზი, ძლიერი და თავისუფალი იქნება“ — მიძღვნილს ლენინისადმი. ეს მხატვარი რ. სტურუას შემოჰყავს სპექტაკლში — სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი, თეთრ სამოსში გამოწყობილი, ფეზშიშელი — როგორც შემოქმედი სულის გამოცხადება — იგი ზის თავის უზარმაზარ მოლბერტთან, თავის ფიქრებში დანთქმული (მსახიობი გ. ძნელაძე) ტრაგიკულად განმარტოებული, მაგრამ მისი სულის მოძრაობა თითქოს განუხრელად მისდევს სპექტაკლს. ამ ორი ადამიანის — მეოცნებე მხატვრის (რომელიც განწირულია სიკვდილისათვის) და კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეოცნების — ლენინის (რომელიც ასევე განწირულია სიკვდილისათვის) შინაგანი კავშირი მოუხელებელი შტრიხებით, ნატიფი ნიუანსირებით არის გადმოცემული სპექტაკლში და ტრაგიკული ტონალობა შეაქვს საერთო სურათში. და როცა ეს მხატვარი მოცელილივით ეცემა მიმოფანტულ ფურცლებს შორის, სცენაზე მდგომი ლენინის გულში თითქოს ჩაწყდა ის ძაფი, შორს მყოფ მეოცნებე მხატვართან რომ აკავშირებდა, და ჩვენც, მაყურებელს, გვენიშნა სხვა, უფრო დიდი ტრაგიკული წამის გარდაუვალობა, რამაც კაცობრიობის გულში, შემდეგ, ჩაწყვიტა ის სიმი, რომელიც ყველაზე ოპტიმისტურ ხმას გამოსცემდა. ამ ადამიანური „ცხოვრების სიმღერის ყველაზე მაღალ ნოტაზე“ მთავრდება ეს ამაღელვებელი სპექტაკლი, რომელიც მაყურებელს შთააგონებს მაღალი იდეებისადმი მისწრაფებული სიცოცხლის სიყვარულს.

ნოდარ გურაგანიძე.

* * *

სურათზე: „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ — სცენა სპექტაკლიდან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

რევოლუციური ეტიუდი

ქართული თეატრალური ლენინიანის ახალი ფურცელი

საიათნოვას პოეზიის დღესასწაული

კვლავ მოვიდა ქართულ მიწაზე საიათნოვასადმი მიძღვნილი ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული. ტრადიციისამებრ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ოვანეს თუმანიანმა, იოსებ გრიშაშვილმა, გეორგ ბაშინაძეიანმა და იოსებ იმედაშვილმა, ყოველ გაზაფხულზე, მაისის ბოლო კვირადღეს მე-6 საუკუნის სომხური ეკლესიის ეზოში საიათნოვას საფლავზე ფერიმებიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პოეზიის მრავალრიცხოვანი მოყვარულნი.

ათი ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი საიათნოვას ახლანდელ დღესასწაულზე. თბილისელები, რესპუბლიკის რაიონებიდან, ერევნიდან, სომხეთის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები დილიდანვე გაემართნენ დღესასწაულობის ადგილზე.

პოეტის ხსოვნის საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ცინაძეშვილმა.

სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე შექმნილ ლექსებს ადიდებენ მემკვიდრეობაზე ილაპარაკეს სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა მ. სარქისიანმა, სომეხმა პოეტებმა ო. შირაზმა, ლ. დურიანმა, ა. ოვნათანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ონნეშვილმა, პოეტებმა თ. ჯანგულაშვილმა, გ. შახნაზარმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარემ ბ. სეირანიანმა და სხვებმა.

საიათნოვას საფლავზე გამართული მიტინგი აშუღლებისა და მომღერლების თავისებურ შეჯიბრად იქცა. ამ დღეს დამსწრეთ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ამოვანისა და კიროვაკანის „კულტურის სასახლესთან არსებულმა ხალხური საკრავების ანსამბლმა, ანსამბლმა „საიათნოვამ“, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს დამსახურებული არტისტი მ. კაზარიანი, სოლისტმა ა. ამადანიანმა, თბილისის სკოლების მოსწავლეებმა.

მიტინგს დაესწრო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

(საქინფორმი).

დროა, ამბები, მოვლენები

ესპერანტოს ენაზე

პირველად თარგმნა ესპერანტოს ენაზე შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ მაყაშვილმა.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მთარგმნელმა თქვა:

— ესპერანტოს ენაზე დიდი ხანია უკვე ელენის პუ